

ქვეყნის გზები



საქართველოს
მედიკალი
კავშირის
გაზეთი
№3 (287)

1-31 ივლისი
2021

ფასი 1 ლარი

გამომცემი
თავისი ორგანიზაცია

როგორ ირწმუნდა სომალდი

მეზობარი

თუ ამ წიგნს ყურადღებით წაიკითხავთ, თქვენ იგრძნობთ, როგორ ირწმუნდა თვალწინდელი ოკეანეში, უზარმაზარ კრეისერებს შორის, ლამის უკომპასოდ შეცურებული საქართველოს ხომალდი.

მე კი, ჩემი უბედური ქვეყნის ერთ მესიტყვეს, მეჩვენებოდა, რომ მთელი სიცოცხლე მიმინოს ფრთებზე ვიჯექი. მიმინოს, რომელმაც ესაა ძუის მახე გაგლიჯა და არ იცის, თავი რომელ ხეს შეაფაროს, რომ მე მანდ სხვა მახეში არ გაყოს თავი.

რევაზ მიშველაძე

ლადო ასათიანზე დანერგულ წიგნებში (ნიკა აგიაშვილი, გიორგი შალამბერიძე, შოთა ქურდიე, ნაზი დუმბაძე...) ხშირად ახსენებენ ლადოს სტუდენტობის მეგობარს ავქსენტის მიშველაძეს.

ავქსენტი მიშველაძე მამაჩემია.

იგი 1935-1940 წლებში ლადო ასათიანთან, გიორგი შალამბერიძესთან, ლევან კიკნაძესთან, ნაზი დუმბაძესთან, შოთა ქურდიესთან... ერთად სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

სტუდენტობაშივე შეერთო 17 წლის ქუთაისელი გოგონა თინა გველესიანი (დედაჩემი) და მოკრძალებულ სტუდენტურ ქორწილზე სიძე-პატარძლის ხელისმომოკიდე ლადო ასათიანი გახლდათ.

მიშველაძეები იმერელი აზნაურები ვართ, თუმცა მამაჩემი მარტვილის რაიონის უმშვენიერეს სოფელში — თარგამეულში დაიბადა და აღიზარდა.

თურმე მამაჩემის დიდი ბაბუა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მღვდლად განამწესეს მარტვილში და ასე მოხდა ჩვენი „გამეგრელება“.

თარგამეული, ანუ „თარგამოსისეული“, უძველესი ქართული სოფელია ტყუარის პირას, ქართველთა წინაპრის სახელთან დაკავშირებულ ამ სოფელში დღესაც დგას ქუჯისდროინდელი ციხესიმაგრე „ჯიხა“ და მეთერთმეტე საუკუნეში აშენებული ეკლესია.

თითქმის შუაგულ სამეგრელოში მდებარე ამ სოფელში მიშველაძეებთან (ზოგი მათგანი „მიშველიად“ იწოდებოდა) ერთად ცხოვრობენ სიხარულიძეები, ბერიძეები, გახოკიძეები, ნაროშვილები, ჯანაშიები, აბაკელიები და გაბუნები.

როგორც ხედავთ, უმეტესობას ხონიდან (ორ ნაბიჯზეა) და ქუთაისიდან გადმოსახლებული იმერლები შეადგენენ.

მე დავბადებულვარ 1940 წლის 1 იანვარს სოხუმის რაიონის სოფელ ბაბუშერაში.

როგორ აღმოვჩნდი „აფხაზეთში“?

საქმე ისაა, რომ ქუთაისის პედინსტიტუტის დამთავრებისთანავე მამაჩემი ბაბუშერის (დრანდასთან ახლოს პატარა სოფელია), საშუალო სკოლის დირექტორად გაუგზავნიათ, სადაც 1941 წლის 12 ივლისამდე მუშაობდა.

ომი რომ დაიწყო, მამაჩემმა თავისი მცირეწლოვანი შვილებით დედამამისეულ

კერას მიაშურა. ასე რომ, წლინახევრის გახლდით, მარტვილში რომ ჩამომიყვანეს. სწორედ თარგამეულს უკავშირდება ჩემი პირველი ნაბიჯები (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით).

ბაბუაჩემი ესტატე სოფლის სკოლის მასწავლებელი გახლდათ, ბებია — ქრისტინე დიასახლისი.

მართალია, ჩვენი წინაპრების სასულიერო ტრადიცია (მღვდლობა) ვერ შევინარჩუნეთ, მაგრამ ესტატე მიშველაძის მიერ ლიბოდადებული პროფესიის ერთგულნი დავრჩით.

მამაჩემი ომის წლებში თარგამეულის საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე პედაგოგიურ საქმეს ემსახურებოდა (სოფლის მასწავლებელი, ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტი, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი...)

დედა — საჩხერელი მასწავლებლის (მერჯვეი) ვლადიმერ გველესიანის და ქუთაისელი მარიამ კუხიანიძის მხოლოდ შობილი ასული გახლდათ და ღრმად მოხუცობამდე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

შვიდი წლის რომ შევსრულდი, ჩვენი მრავალშვილიანი ოჯახი (ოთხი შვილი: ნათელა (1937), რევაზ (1940), გოგი (1942), ბორისი (1945), დედა (1920), მამა (1915)) ქუთაისში გადმოსახლდა.

ბინა კუხიანიძეების (დედულეთი) მამაპაპურ სახლში დავიდე.

ომი ახალი დამთავრებული იყო.

გვიჭირდა.

ამ სიტყვის („გვიჭირდა“) გამოყენებას მომავალში, რაც შემდეგ მთავრდება.

ჯერ ერთი, ვის არ უჭირდა მამის და მეორეც, ჩვენს ოჯახს, რაც თავი მახსოვს, ეკონომიურად სულ უჭირდა და დღესაც, როცა დავცალკავდებით და ჩვენი ოჯახები გვაქვს, ხელმომართულად რა დასამალა და ვერ ვცხოვრობთ.

ყველაფერი გვასწავლა ცხოვრებამ ფულის შოვნის გარდა.

„უმარიფათობა“ ჩვენი ხასიათის თვისებაა და, სიმართლე გითხრათ, ამას დიდად არ განვიცდით.

სწავლა ქუთაისის ვაჟთა VII სკოლაში დავიწყე.

ერთ საღამოს მამამ მეხუთეკლასელი ბიჭი ჩვენს მეზობლად ნინოშვილის ქუჩაზე მცხოვრებ სანდომიან ქალარა კაცთან მიმიყვანა; ბატონო ალიოშა, ესაა რეზო, იმ დღეს რომ გეუბნებოდი, შენთვის ჩამიბარებიაო.

„ბატონი ალიოშა“ შემდგომში ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი ალიოშა ტოგონიძე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თანამშრომელი გახლდათ. კაცი, რომელსაც ხელოვნებაში ჩემს პირველ წვრთნებს დიდად ვუმაღლი.

ალიოშა ტოგონიძე პიონერთა სასახლეში თავდაპირველად ხან ერთ წრეს ხელმძღვანელობდა, ხან „მეორეს“, მგონი, თავიდან უშტატო „შემცვლელ მასწავლებლად“ მუშაობდა და მეც, რასაკვირველია, ქამარზე ვყავდი გამობმული.

სამ თვეს თუ დრამწრემი დავდიოდი, მომდევნო ხუთ თვეს ნორჩ დეკლამატორთა წრეს „ვამშვენებდი“, ერთხანს ხატვის წრეში ვმეცადინებოდი და ცოტა ხანში ალპინისტთა წრეშიც ამოვყავი თავი.

ბოლოს, როგორც ჩანს, სასახლის დირექციამ შეამჩნია ბატონი ალიოშას დიდი პედაგოგიური ნიჭი (ბავშვებს ანდამატივით იზიდავდა) და ერთდროულად ოთხი წრის ხელმძღვანელად განამწესეს.

მეც ერთდროულად ოთხი წრის მსმენელი გახლდით; ნორჩ შემოქმედთა წრის, ხატვის წრის, დრამწრის და გიტარის კვირის წრისა.

ოთხივე წრის საერთო ხელმძღვანელი ალიოშა ტოგონიძე გახლდათ. გიტარის წრეში კი თანამშემწეობას მურმან ანჯაფარიძე უწევდა.

შვიდსიმინი გიტარაზე მურმანმა ისე დაგვაოსტატა მისი შეგირდები, რომ დღესაც ამ ხნის კაცი შევებდავ ხოლმე გიტარას და „არაუშავს“ ვმღერი. მახსოვს სამოციანი წლების დასაწყისში ოთარ რამიშვილთან მოვხვდი (ჩემს მეზობლად ცხოვრობდა) და ჩემს აკორდებზე ზუსტი დიაგნოზი დამისვა — გეტყობა მურმან ანჯაფარიძის სკოლა გაქვს გავლილიო.

მეცხრე კლასში რომ გადავედი, ყველასგან მოულოდნელად ალიოშა ტოგონიძე დაიჭირეს.

არ იკითხავთ რა დააშავა? თურმე სამსახურიდან თავისუფალ დროს სამგლოვიარო გვირგვინების წარწერებს წერდა და ამისთვის ზოგჯერ სასახლის მუყაოსა და „ბრონზეს“ საღებავსაც იყენებდა (არ დაუტყვევია ქვეყანა? მეტი „დანაშაული“ რაღა გინდა).

საყვარელი მასწავლებლის დაპატიმრებამ თავზარი დამცა.

რამდენჯერმე მივედი მისი მონაფეხები მე, ზურაბ ფორჩხიძე, ანზორ ხერხაძე და რეზო რამიშვილი ნულუკიძის ქუჩაზე ციხეში ალიოშას მოსანახულებლად, მაგრამ პატიმარს ვინ გვაჩვენებდა. ერთხელ ნაცნობი ზედამხედველის ხელით წერილიც კი შევუგზავნეთ.

ოთხი წლის მერე უკვე უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ქუთაისში ჩასვლისას ციხიდან ახალგათავისუფლებული ბატონი ალიოშა ვინახულე და სხვათა შორის, ვკითხე, ჩვენი წერილი თუ შემოგიტანეს-მეთქი.

ცრემლი მოადგა, როგორ არაო, აქამდე ვინახავო. გავიდა მეორე ოთახში და ჩემი ხელით დანერილი ოთხივე შეგირდის ხელმოწერილი წერილი გამოიტანა, აკოცა და ჯიბეში ჩაიღო.

სუფთა სულის მქონე, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და მართლაც რომ სახალხო მასწავლებელი იყო, აცხონოს ღმერთმა.

მეშვიდე კლასიდან ქალთა და ვაჟთა სკოლები შეაერთეს და მე ტერიტორიულად ყოფილ ქალთა მეორეში, იმჟამად ქუთაისის მეოთხე საშუალო სკოლაში მინია სწავლის გაგრძელებამ.

სწორედ მეოთხე სკოლა დავამთავრე 1958 წელს როინ მეტრეველთან, ვალიდა ფესტევიძისთან, გიაზ ნიქორიძისთან,

მიხეილ ლოლობერიძისთან, გულიზა ბართაიასთან, მირზა გოლეტიანთან, სერგო ჭეიშვილთან და სხვებთან ერთად.

კინორეჟისორობა ან უკიდურეს შემთხვევაში მსახიობობა მინდოდა. კინემატოგრაფიის ინსტიტუტი მხოლოდ მოსკოვში იყო და სად ჰქონდა მამაჩემს მოსკოვში სტუდენტის შენახვის საშუალება. მსახიობობა უფრო რეალური ჩანდა, მაგრამ თეატრალურ ინსტიტუტში უსაშველო კონკურსიაო მოთხრეს და ესეც არ იყოს, ერთი თვით ადრე „ტურები“ უნდა გაიარო, თანაც თეატრში ან კულტურის სასახლეში მუშაობის ორი წლის სტაჟი უნდა გქონდესო. არც ერთი მქონდა და არც მეორე. ჩემს ოცნებას ფრთები ერთბაშად შეეკვეცა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (სადაც მამაჩემი პედაგოგიკის კათედრის დოცენტი იყო) ჩავაბარე მისაღები გამოცდები ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

პედინსტიტუტს ძლიერი დრამწრე ჰყავდა და სულმოუთქმელად მივაშურე. სექტემბრიდან იანვრამდე ორი სპექტაკლი დავდგით — ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“ (იასონს ვთამაშობდი) და ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ (გაბრიელი გახლდით).

ინსტიტუტის სახალხო თეატრში თავის გამოჩენა არ გამჭირვებია. მე ხომ გიგა ლორთქიფანიძის სკოლა მქონდა გავლილი. მეათე-მეთერთმეტე კლასელთათვის ახალგაზრდა რეჟისორს გიგა ლორთქიფანიძეს თეატრთან სასწავლო სტუდია ჰქონდა გახსნილი და ალიოშა ტოგონიძის დაჭერის შემდეგ იქ მივიტანე თავი.

იანვარში პედინსტიტუტში გამოცდები ვადაზე ადრე ჩავაბარე და თბილისისკენ გამოვეშურე.

თეატრალურ ინსტიტუტში გადმოყვანაზე რომ უარი მითხრეს, უნივერსიტეტში მივადექი მამაჩემის მეგობარს გიორგი შალამბერიძეს, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მუშაობდა.

გოგი ბიძია, უნივერსიტეტში მინდა გადმოსვლა და უნდა მიშველო-მეთქი.

როდის ჩამოხვედიო.

გუშინ-მეთქი.

სად ათევე ღამესო.

დედაჩემის დედა ლოლა კუხიანიძე ცხოვრობს ლუნაჩარსკის ქუჩაზე და იმას შევეკედლე-მეთქი.

მამაშენმა ხომ იცის, რომ პერიფერიის ინსტიტუტებიდან არ გადმოგვყავს სტუდენტებიო, თავიდან რატომ აქარ ჩააბარეო.

მამაჩემმა გზის ფული ვერ მომიხერხა-მეთქი.

კაი ჯიბეგირია, ნუ გეშინია, თეთრ ხიდთან საღობოში რომ ყოველ საღამოს ყანწებს ატრიალებს, იმის ფულს ხომ „ახერხებსო“, იხუმრა.

მართლა ძალიან გინდა უნივერსიტეტში სწავლაო?

სერიოზული სახე მიიღო.

თავი დავუქნიე.

დამინერე განცხადება რექტორის სახელზე და ვეცდები, თუ რამე გამოიმვიდაო.

დავწერე განცხადება, როგორც მი-
კარნახა.

აქ მომიცადეო.

მალე დაბრუნდა.

ახლა რექტორთან შეხვალ, თუ გე-
ითხოს ირაკლი აბაშიძე რა არის შენით,
მამას მეგობარია, ჩვენთან იყო სტუმრად
ქუთაისში და ჩემს ნაწერებს გადახე-
და-თქო, იღიბება.

შევედი რექტორთან.

აკადემიკოსი ევგენი ხარაძე სათვალ-
იანი, გამხდარი, შავგვრემანი კაცი ჯერ
სათვალისა და მკვირდებმა, მერე სათვა-
ლეს იხსნის და, ცოტა არ იყოს, გულმოსუ-
ლი მიცქერის.

ხომ იცით, რომ პედინსტიტუტებიდან
უნივერსიტეტში არავინ გადმოგვყავსო.

შევიხინდი.

კარგი პატივცემულო, ბოდიშს ვიხდი,
რომ შეგანუხეთ-მეთქი და კარებისკენ
გავიხინე.

რას წერთო, მეკითხება.

მოთხრობებს, ლექსებს და კრიტიკულ
წერილებს-მეთქი.

მერე? ქუთაისში გოშლით ვინმე წერა-
სო? რა აუცილებელია თბილისში ცხოვ-
რობდეთო.

ირაკლი ბიძიამ დამიჟინა, თორემ,
გითხრათ სიმართლე, მე ქუთაისში
მირჩენენია-მეთქი.

ჩანს, ჩემშიც იჯდა პატარა მატყუარა.

რა არის ბატონი ირაკლი თქვენითო.

არაფერი, მამაჩემს მოყვა სახლში,
მგონი შორეული ნათესავი უნდა იყოს,
კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი.

მოიცა, სად გეჩქარებაო.

ჩემს განცხადებას რალაც წაანერა და
გამომინოდა, დეკან ფანჯიქიძეს მიუტანეო.
გიორგი შალამბერიძეს განცხადება
რომ გადავეცი, სიცილი აუტყდა.

„ბატონო ვლადიმერ, ახალგაზრდა
მწერალს გამონაკლისის წესით უნდა
დავეხმაროთ“, ასეთი, რომ იტყვიან, ქვის-
გამხეთქი რეზოლუცია დაედო რექტორს.

მერე მიაბო გოგი ბიძიამ:

„შევედი რექტორთან და ვთხოვე,
დღეს ამ ბავშვზე მესამეჯერ დამირეკა
ირაკლი აბაშიძემ, უნიჭიერესი ახალგაზ-
რდა მწერალია და არ დაგვეკარგოსო.
ვეუბნები, რომ გადმოყვანა არ შეიძლება,
მაგრამ ვერ დავარწმუნე, დამინერეთ რომ
საერთოდ არ გადმოგვყავს პერიფერიის
ინსტიტუტებიდან, თქვენს რეზოლუციას
უფრო დაუჯერებს-მეთქი. რექტორმა
ჯერ განცხადება წაიკითხა, მერე ტელე-
ფონს დაწვდა, მე წელში გამაცივავ, კიდევ
კარგი ირაკლიმ ყურმილი არ აიღო. მერე
გამომცდელად შემომხედა და, თუ არის აქ
მიშველაძე შემოვიდესო.“

მწერლობასთან უმნიშვნელო კავშირი
სკოლაშივე მქონდა, მაგრამ ეს გიორგი
შალამბერიძეს საიდან ეცოდინებოდა.

მეშვიდეკლასელმა „ნორჩ ლენინელ-
ში“ ლექსი გამოვაქვეყნე, მეცხრე კლასი-
დან კი ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“
პატარა-პატარა რეცენზიებს ვწერდი ახალ
ნიგნებზე.

ასე რომ, ბატონ გიორგის რექტორ-
ისთვის მთლად ტყუილი არ უთქვამს,
თუმცა ირაკლი აბაშიძე ამ საქმესთან რა
შუაში იყო.

ისე, სანამ ევგენი ხარაძე რექტო-
რობდა, მის დანახვაზე კედელზე აკრულ
სტუდენტთაგან გამომარჩევდა, ხელს
მომკიდებდა, გვერდით გამიყოლებდა და
ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნებო-
და: „რას წერთ ახალს? ბატონი ირაკლი
მომიკითხეთ“.

როგორ არ მოვიკითხავდი ბატონ ირაკ-
ლის, მაგრამ მე თვითონ არ ვიცნობდი.

ირაკლი აბაშიძე მოგვიანებით გავიცანი.
მაშინ მეოთხე კურსის სტუდენტი ვაზ-
ლდით.

მწერალთა კავშირში ღონისძიებას არ
ვაცდენდი.

მივჯდებოდი კუთხეში და ვუსმენდი
კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩი-
ქოვანის, კოლაუ ნადირაძის, დემნა შენ-
გელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის,
მიხეილ მრეველიშვილის, სერგი ჭილაიას,
ბესო ჟღენტის, შალვა რადიანის, თვით
თავმჯდომარის — ირაკლი აბაშიძის გა-
მოსვლებს.

რას მოისმენდი უკეთესს სამწერლოდ
შეღერებული ახალგაზრდა კაცი.

„ცისკრის“ განხილვა მიმდინარეობდა.

ბოლოსკენ ირაკლი აბაშიძემ დარბაზს
ჰკითხა — კიდევ ხომ არავის სურს გა-
მოსვლაო.

არ ვიცი, გაბედულების რა ჩიტი დამა-
ფრინდა მხარზე, ხელი ავნიე.

ტრიბუნასთან რომ მივედი და დარბა-
ზს გადავხედე, სითამამე (თუ უტიფრობა)
უფრო მომემატა და გავუტყე.

მე შენ გეტყვი, ენაზე ჭალი მომედე-
ბოდა. ჩავაჭიკჭიკე ჩემი სათქმელი. ზოგი
რამ მოვიწონე, ზოგი დავინუნე (პროზაუ-
ლი ნაწარმოებების მიმართ ჩემი ძირითა-
დი შენიშვნა იყო „გაჭიანურებული“). რა
თქმა უნდა, სისულელე იქნებოდა, რაც
მაშინ ვთქვი, მაგრამ მწერლებმა დიდ-
სულლოვნად, ყურადღებით მომისმინეს
და რომ დავამთავრე, დარბაზში სიჩუმე
ჩამოწვა.

„მართალს ამბობს ეს ბავშვი“, ჩაი-
ლაპარაკა დემნა შენგელაიამ.

მეც მეტი რა მინდოდა.

დისკუტი რომ დამთავრდა, მწერალთა
კავშირის კარებთან „შემთხვევით“ ირაკ-
ლი აბაშიძის წინ გავიარე.

მანქანაში ჯდებოდა.

ორი თითით მიხმო.

მივირბინე.

— სადაური ხარ, ბიჭო შენ?

ქუთაისელი გახლავართ-მეთქი.

გაეცინა და ხელი გამომინოდა.

— ხონი! ქუთაისი და ხონი რამ გაყო,
სწავლობ?

უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ-
მეთქი.

— გვარი შემახსენე.

— მიშველაძე.

პლამის კალთა აიკეცა.

— ერთ რჩევას მოგცემ მიშველაძე. არ
ხარ ურიგო ბიჭი, მარა ცოტა თამამი ხარ,
გეტყობა. სადაც არ გეკუთვნის ყველაზე
კაი სიტყვის თქმა, არ თქვა, თვარა შეგი-
ძულდებენ. მწერლები უბედური ხალხია.

გაიცინა, ჩაჯდა და ხელი დამიქნია.

ახლა რაც შეეხება მწერალთა კავშირ-
ში ჩემს პირველ მისვლას:

თექვსმეტი წლის ვიყავი ლადო მრელ-
აშვილმა რომ მიმიყვანა მაჩაბლის ცამეტ-
ში. ჯერ რეზო კვერენჩილაძეს ჩამოარ-
თვა ხელი და ბიბლიოთეკის ღია კარიდან
პირდაპირ მწერალთა კავშირის ბაღში აღ-
მოვჩნდი.

1957 წლის 11 სექტემბერი იყო.

ძელსკამზე ორი კაცი იჯდა.

ერთს, სიცხის მიუხედავად, მოშავო,
„პლენეზიანი“ პიჯაკი ეცვავა.

ჟღალი წვერი მუჭში მოექცია, ფეხ-
ებთან პორტფელი ედო და თავზე
ჭილოფის ქუდი ეხურა.

მეორეს — მკაცრი გამომეტყველების,
ქუთათუთებდაბერილ მოხუცს ევროპუ-
ლად, პინკად ეცვა, ხოლო თავზე რატომ-
ღაც კრაველის ბოხობი ეხურა.

— ლადოს გაუმარჯოს! — ხელი
გაუნოდა ბოხობიანმა.

წვეროსანს კი ჩვენი მისვლით დიდი
აღფრთოვანება არ დატყობია.

— ჩემი ცოლისძმაა, ქუთაისელია, —
მგონი უფრო პაუზის დასარღვევად ჩემზე
მოათითა ლადომ.

— რას ლაპარაკობ, — ამკარად გაეხ-
არდა, წამოხტა და ხელი ჩამომართვა
წვეროსანმა, — სად ცხოვრობ ქუთაისში,

დამიკო?!

— ბაკისუბანში, ნინოშვილის ქუჩაზე.

— ბაკისუბანში? დიდებულია დამიკო.
ძლივს არ ვნახე ბაკისუბნელი კაცი?
ბაკისუბანშიც ვიმალებოდი ერთ დროს.

— ვის ემალებოდი, გალაკტიონ?

— ირონიაგარევით, ხრინიანი ხმით, შესა-
მჩნევი მეგრული აქცენტით ჰკითხა ბოხ-
ობიანმა.

— ვის ვემალებოდი და ვინც მეძებ-
და, კონია — წყენა შეეპარა ხმაში გალაკ-
ტიონს, — შენ კონსპირაცია მართო მიუნხ-
ენში და ლაიფციგში სეირნობა გგონია.

კრაველის ქუდიანმა ამ თემაზე მსჯე-
ლობა აღარ გააგრძელა და კვლავ ლადოს
მიუბრუნდა.

— ლადო, შენ ცოლი გყავს? არ ვიციოდი.

— აბა ცოლისძმა საიდან ეყოლება,
შენი არ მიკვირს?

გადახარხარა წვეროსანმა და ძველი,
ყავისფერი პორთფელი მუხლებში მოიქცია.

აივანზე ახალგაზრდა ქალი გადმოდგა:

— ბატონო გალაკტიონ, ბატონო კონ-
სტანტინე, გთხოვენ.

ორივენი წამოდგნენ და შარვლის
ფერთხვით კიბისკენ გაეშურნენ.

ასეთი იყო ჩემი პირველი მისვლა მწერ-
ალთა კავშირში და ჩემდაიბლად, პირ-
ველმისვლაზევე ორ გენიოსს შემახვედრა
ბედმა — კონსტანტინე გამსახურდიას და
გალაკტიონ ტაბიძეს.

მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, რა რუ-
დუნებით შეიქმნა ამ ოთხმოცდაოთხი წლის
წინ სრულიად საქართველოს მწერალთა
კავშირი და როგორ დაისახა მან პირველი
დღიდანვე მიზნად, ებრძოლა ქართული
ეროვნული ცნობიერების გადარჩენისთვის

— „არავითარი უნაპირო ინტერნაციონალ-
იზმი და არავითარი პირმორღვეული კოს-
მოპოლიტიზმი! საქართველოში უნდა იყოს
მხოლოდ ქართული ენის, ქართული კულ-
ტურის დომინანტი!“ — ხმის ჩახლქამდე
ყვიროდა მწერალთა პირველ ყრილობაზე
კონსტანტინე გამსახურდიას.

მე მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, კენის
აღზევების დროს როგორ გადაუმტვრიეს
ხერხემლის ჯავახიშვილს და ტიციაანს,
როგორ მიიყვანეს თვითმკვლელობამდე
პაოლო, როგორ დაუჭრეს პირველი წიგნი
ლადო ასათიანს არტანუჯზე დაწერილი
ლექსისათვის „ციხის სიზმარი“.

მაგრამ მეც ბევრს რასმე შევესწარ და
ის „ბევრი რამეა“ ამ უთანასწორო ბრძო-
ლაში რომ მამლებინებს, შუალამისას
წამომადგებს და მაგიდასთან დამსვამს,
რომ არ მასვენებს და ტვინს მიბურღავს.

მახსოვს, გალაკტიონის გადაფრენა
მეოთხე სართულიდან — პირველი ელდა
ჩვენთვის და პროტესტის ყველაზე დიდი
ყუმბარა უკვდავი პოეტის მიერ ხელისუ-
ფლების წინააღმდეგ ნასროლი.

მახსოვს, როგორ გადაიქცა 90-იან
წლებში მწერალთა სასახლე ეროვნული
მოდრობის მთავარ შტაბად.

მახსოვს, 1978 წლის 10-14 აპრილს
მწერალთა კავშირში ქართული ენის და-
საცავად გამართული მიტინგები და თავ-
განწირული ერთსულოვნება.

მახსოვს, 1989 წლის 10 აპრილის დაზა-
ფრული სხდომა, ნოდარ ნულეისკირმა
ცეცხლი რომ წაუკიდა კომუნისტური
პარტიის მანდატს და ყველას თვალწინ
საჯაროდ დაწვა.

მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დაჭერ-
ით მეორე დღეს კოლხურ კოშკში მივედი
და ჩემი ჭკუით ვანუგეშე ქ-ნი მანანა — ნუ
გეშინია-მეთქი.

მე რისი მეშინია, რეზო, იმათ ეშინო-
დეთ, ვინც ზვიადი მწერალთა კავშირიდან
ასე ერთსულოვნად გარიცხაო, მიპასუხა.

მახსოვს, რევაზ ჯაფარიძის გამოსვლა
მწერალთა V ყრილობაზე, როცა „წონი-
ლი სიტყვის“ ავტორმა, ყველასათვის
მოულოდნელად, გრიგოლ რობაქიძის რე-
აბილიტაცია მოითხოვა.

მახსოვს, ციმბირის გულაგებიდან
ახალდაბრუნებული ჭაბუა ამირეჯიბის
„დათა თუთაშხიას“ ბეჭდვის დაწყე-
ბა „ცისკარში“, რის გამოც „ცისკარი“
პროკლამაციასავით ხელიდან-ხელში გა-
დადიოდა.

მახსოვს, ზურაბ ბოლქვაძის „ნიანგის“
ახალი ნომერი ნაცხრაპრილევს და ჟურ-
ნალის ყდაზე დახატული რუსი ჯარისკა-
ცი ორლესური ნიჩბით ხელში.

მახსოვს, ლამის ჯვარს რომ აცვეს გუ-
რამ ფანჯიქიძე სამოციანი წლების ამკარა
რევოლუციური რომანისათვის „თვალის
პატიოსანი“.

მახსოვს, სერგი ჭილაიას კაბინეტში
გაცხარებული ქართული პროზის პატრი-
არქი: „ლანდებთან ლაციცი“ შემიჩერეს,
მომეცი სასწრაფოდ ინაურის ტელეფონი.
აღარ გათავდა ჩემი დევნა?“

მახსოვს შოთა ნიშნინიძის წინააღმ-
დეგ აგორებული ინტრიგის ტალღა აქლე-
მისა და ლექსის ქურდის პოეტური ალე-
გორისათვის და იმ დროს დაწერილი მისი
საბარკადო ლექსი „ზიგ ჰაილ! ზიგ ჰაილ!“

მახსოვს როგორ გამოვაპარეთ სტამ-
ბიდან ლევან სანიკიძემ და მე „უქარ-
ქაშო ხმლების“ უკვდავი ავტორის წიგნი
— ბრალდება „ვაი რუსისგან“ და მეორე
დღესვე როგორ იზრუნა ხელისუფლებამ
იმაზე, რომ წიგნის მთელი ტირაჟი სადღაც
გამქრალიყო ისე, რომ ბიბლიოთეკებშიც
ვერ იპოვით — ლევანის ოჯახს შემორჩა,
მე და ალბათ ლევანის ორიოდ მეგობარს.

რომელი ერთი გავიხსენო.

პირველ გაბედულ, ეროვნულ სიტყვას
მწერალი ამბობდა ყოველთვის, მწერ-
ალთა კავშირის ტრიბუნიდან ნათქვამი
მართალი სიტყვა მეორე დღესვე საქარ-
თველოს მოეფინებოდა ხოლმე და პირველ
დარტყმასაც მწერალი იღებდა.

მარტო იმის ხაზგასმა რად ღირს, რომ
XIX საუკუნის საქართველოს სულიერი
მამა და უგვირგვინო მეფე სწორედ მწერ-
ალი გახლდათ და საქართველოს პირველი
პრეზიდენტიც მწერალი იყო.

მწერალთა კავშირი დღესაც პირ-
ნათლად ასრულებს თავის ეროვნულ
ფუნქციას — იგი ჯანმრთელი, ზომიერი
ოპოზიციონერია და ამიტომაც ებრძვი-
ან მას გააფრთხილებ; ხან ლიკვიდაციით
ემუქრებიან და ხან შენობას ართმევენ.

დათვალეთ, აწონეთ საქართველოს
გაღვიძებაში მწერლის მიერ შეტანილი
წვლილი და მერე უწოდეთ პატარა, მომხ-
ვეჭელო კაცუნებო, მწერალთა კავშირს
„გადმონაშთი“.

ზემოთ ვთქვი, 37 წელი არ მახსოვს-
მეთქი, მაგრამ ახლა არანაკლებ მძიმე
დროა ქართული მწერლობისთვის.

ილიას ლოზუნგი — „ჩვენი თავი ჩვე-
ნადვე გვეყუდნეს“ დღის წესრიგიდან წუ-
თითაც არ მოხსნილა.

ჩვენ ახლაც ბარიკადებზე ვდგავართ
და ეროვნული სანგრებიდან ვუტევთ ჩვე-
ნი ნაციონალური სახის წასაშლელად გა-
მოგზავნილ მანქურთებს.

მე უაღრესად დრამატულ, ბობოქარ,
მღელვარე დროში ვიცხოვრე.

ეს ის დრო გახლავთ, დედამინაზე
ყველაზე დიდი და მძვინვარე — რუსეთის
წითელი იმპერია რომ დაინგრა და ჩემმა
სამშობლომ მეოცე საუკუნეში მეორედ
მოიპოვა დამოუკიდებლობა 1990 წელს.

რუსეთმა ვერ აიტანა თავისი ყოფი-
ლი კოლონიის დამოუკიდებლობისკენ
სწრაფვა და 1993 წელს ცეცხლითა და
მახვილით დაიპყრო იგი.

მაგრამ ქვეყნის მთლიანად დამონება
ვერავმა რუსმა ველარ შეძლო.

საქართველო ნაწილობრივ „გამოხობ-
და“ იმპერიის ნანგრევებიდან და განაგრ-
ძო დამოუკიდებლობის დეკლარირება.

ამერიკამ და ევროპამ დახმარების
ხელი გამოუწოდეს საქართველოს და
ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა.

მაგრამ „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმია (ავიაცია, 2000 ტანკი, 20 000 ქვეითი) კვლავ ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქართველოს და ამჯერად მის მიერ მუხანათურად მიტაცებული ქართული კუთხეები (აფხაზეთი, სამაჩაბლო) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა.

საქართველოს მთლიანად დაპყრობა ვერც ამჯერად შეძლო. ახლა ტერიტორიებზე გავრცელებული საქართველო ორ ზესახელმწიფოს — ამერიკასა და რუსეთს შორის კოზაკივით იჭყლიტება და მათს იმპერიულ ინტერესებს ჩვენი ეროვნული სახე, სახელმწიფოებრივი ფორმირება ეწირება.

ასეთია ისტორიის უღმობელი განაჩენი. რაც შემეხება მე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვცდილობდი ისტორიის სრბოლისთვის ფეხი ამეწყო.

აქტარებულ საუკუნეში ეს იოლი საქმე როდი გახლდათ.

ვწერდი მხოლოდ მაშინ, როცა არ შემეძლო არ მეწერა.

ჟანრზე არასოდეს მიფიქრია.

ფორმას თვითონ სათქმელი მკარნახობდა.

გარდა წმინდა ლიტერატურული საქმიანობისა (რაიც მუდამ ჩემს მთავარ საქმედ მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია) ვკითხულობდი ლექციებს, ვცოდვილობდი მეცნიერებაშიც, ვიცავდი დისერტაციებს, ვრედაქტირობდი ჟურნალ-გაზეთებს, ვაარსებდი აკადემიებს (ქართული ფენომენის აკადემია), საზოგადოებებს (ეროვნული ცნობიერების გადარჩენის საზოგადოება, საზოგადოება „თვისტომი“), ერთ დროს პარლამენტის წევრიც გახლდით.

ვერ ვიტყვი, დრომ სწრაფად გაიზინა-მეთქი.

ჩემმა ნაწერებმა (პროზა, პუბლიცისტიკა, დრამატურგია, მეცნიერება) ორმოცი საკმაოდ მოზრდილი ტომი ეშადგინა. ამ „პროდუქციისთვის“ მსჯავრის გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია, ჩემი მხრივ კი იმას დავძენ, რომ ყველა სტრიქონი ცხოვრების შუაგულში ტრიალის შედეგადაა „გამოტანჯული“ და გულსგარეთ არაფერი დამინერია.

თუ ჩემს ბოზოქარ ცხოვრებაში იშვიათად ნათელი დღეებიც გამოერეოდა ხოლმე, წუთისოფელმა მეც საკმაოზე მეტად დამსეტყვა (ერთადერთი შვილის, აჩიკოს, დაღუპვა რუსეთის წინააღმდეგ ომში 1993 წელს).

თუ ჩემი ბიოგრაფიით ოდესმე ვინმე დაინტერესდება, შეუძლია ამოიკითხოს ჩემი წიგნებიდან — „დოკუმენტური ნოველები“, „მწერალი და ავი საუკუნე“, „რა გადაარჩენს საქართველოს“, „არ უნდა მეთქვა?“, „ოთხი საპარლამენტო წელი“ და სხვა.

ჩემი შემოქმედების ქვაკუთხედად ნოველების 15 ტომი და რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ მიმაჩნია.

რატომ დავარქვი შემოქმედების ამ წიგნს „ოცდახუთი მრისხანე წელი?“

დაიხ, უკანასკნელი ოცდახუთი წელი (1989-2013) მართლაც რომ მრისხანე წლები იყო ჩემი და ჩემი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველოს საზოგადოებრივი მდურება ალბათ კარგა ხანს არ დაწყნარდება, მაგრამ ეს ოცდახუთი წელი მაინც სხვა იყო.

ამ ოცდახუთ წელიწადში საქართველოს ბედი მართლაც რომ ბენვეე ეკიდა.

ქვეყანა დამოკლეს მახვილის ქვეშ აღმორჩნდა და არაერთგზის მისი ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგა.

ასე განსაჯეთ ჩემს სამშობლოს — სამმილიონნახევრიან პანანინა ქვეყანას მოუწია ორმა სისხლისმღვრელმა ომმა (1993, 2008) რუსეთთან — იმ საშინელ დრაკონთან მთელ მსოფლიოს რომ დღესაც შიშის ზარს სცემს.

ამ ომთა შუალედში (1993-1994) საქართველოს სამოქალაქო ომის დამთრგუნველმა ქარიშხალმა გადაუარა.

დაამატეთ ამას ხელისუფლებათა და სახელმწიფო პოლიტიკის წამდაუნუმი ცვლა პარტიათა და მიმართულებათა მუდმივი ძიძგილობით გამონვეული, ამასთან ერთად მსოფლიო გლობალიზაციის ყოვლისნამლეკი ტალღა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ფენომენს წალუკვით რომ ემუქრება...

და თქვენ შედეგად მიიღებთ თანამედროვე, დენზე ჩართულივით მოდგანდარ-მოძიგძიგე საქართველოს.

ორმოცდარვის გახლდით, როცა საქართველოს ეს უმძიმესი ოცდახუთწლეული დაიწყო.

ინტუიციით ვიგრძენი, რომ მოვალე ვიყავ ეს ეპოქა შეულამაზებლად, განსჯა-ანალიზის გარეშე ყოველდღიურად აღმებეჭდა.

დავიწყე დღიურების წერა და სწორედ ამ დღიურებს განვდით ახლა ყოველგვარი შესწორების გარეშე.

როგორ არ ვიცი; ზოგი მოვლენის მიმართ მეც სხვაგვარად განვეწყვე დროთა ვითარებაში, ზოგი რამ შერბილება-შესწორებას საიჭროებს, მაგრამ გადაწყვიტე დავეტოვო ისე, როგორც ჩამინერია.

ეპოქის სურნელი პირველ ნაწერს უფრო ასდის.

26.IV.89

დღიურების წერას არ ვაპირებდი. არ მიმაჩნდა ჩემი ცხოვრების მოსაწყენი დღეები დანვრილებითი აღნუსხვის ღირსად.

დღეს გადავწყვიტე მაინც ჩავინიშნო ყოველდღე, რაც გადამხდება.

საოცარი ეპოქა დადგა და ორმოცდაათს მიახლოებული კაცი ჩემს მესიერებას ვეღარ ვენდობი.

ვინ იცის, იქნებ მომავალში ეს დღიურებიც დასჭირდეს ვინმეს ჩვენი დღეების მიძიე სურათის აღსადგენად.

გუშინ, 25 აპრილს, ცხრა აპრილს უწყალოდ დახოცილთა ხსოვნის აღსანიშნავი მიტინგის გასამართავად შევიკრიბეთ ქაშუეთის ეკლესიის ბაღში. „მშობლიურმა მილიციამ“ შესასვლელი გადაგვიღობა და ბაღში არ შეგვიშვა, უსანქციო მიტინგიაო.

სამი ათასამდე კაცი ქუჩაში იდგა და ზუზუნებდა.

მიტინგი იშლებოდა.

ვერ მოვითმინე და ხალხს მივმართე; ხომ ხედავთ, როგორ პატივს გვცემენ, გვეცალოთ აქაურობას და სხვაგან გავმართოთ-მეთქი მიტინგი.

გაუძეხი დემონსტრაციას რუსთაველის პროსპექტზე. რუსთაველის თეატრის წინ მდგარი მსახიობები ჯერ ტაშით შეგვხვდნენ, მერე შემოგვიერთდნენ.

მოდრობა ცალ მხარეს შეჩერდა.

მივედით კონსტიტუციის მოედამდე. იქ შადრევანთან ფილამანზე შევდექი და სიტყვით მივმართე შეკრებილთ:

„დღევანდელმა ჩვენმა შეკრებამ და დემონსტრაციამ დაადასტურა, რომ ხოცვა-ჟლეტით ჩვენი დაშინება შეუძლებელია. ჩვენ გამოსვლებით, პრესით და სისხლზე დაფარებული ყვავილებით ხელისუფლებაზე უდიდესი გამარჯვება მოვიპოვეთ. მართალია, „არაფორმალურ გაერთიანებათა“ ლიდერები დააპატიმრეს, მაგრამ ბრძოლაზე ხელი არ უნდა ავილოთ. მტკიცედ უნდა მოვთხოვოთ მთავრობას, თუ საქართველოს დამშვიდება სურს, გაანთავისუფლოს პოლიტპატიმრები, გააუქმოს არაკონსტიტუციური ავტონომიები და საქართველოს ეროვნული სხეულის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ხელი შეგვიწყოს.

მე გულისტკივილით ვაყენებ ამ უკანასკნელ წინადადებას, მაგრამ ჩვენ

სხვა გზა არა გვაქვს. დაპირებები და წულულის სახელდახელო მოზანვა ახლა საქართველოს ვერ უშველის“.

მიტინგი რომ დამთავრდა, ძნელადის ქუჩით დავბრუნდით რუსთაველზე. ღამდებოდა.

საოცარი სანახავი იყო მოკლულთა სურათებით და გვირგვინებით დაფარული მთავრობის სასახლისწინა მოედანი. ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა.

დღეს, ოთხ საათზე ჩემთან „კრიტიკის“ რედაქტორის კაბინეტში მოვიდა ჩემთვის უცნობი ახალგაზრდების ჯგუფი. ათიოდე კაცი და გამომიცხადეს: „ბატონო რევაზ, გვიშველე, მილიციის პოლკოვნიკია მოსული და მთავრობის სახელით მოგვინოდებს, ახლავე ავკრიფოთ ყვავილ-გვირგვინები და გავათავისუფლოთ მოედანი, საპირველმისო მზადებას სამგლოვიარო მიტინგი ხელს უშლისო.“

გავყვი. პოლკოვნიკი, როგორც გამეცნო, თბილისის მილიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსია. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ტელევიზიიდან არაერთხელ მომისმენია მისი გამოსვლები. ურიგო კაცის შთაბეჭდილებას არ სტოვებდა.

ნუ ჩაიდნენ ამ ცოდვას, ხალხს გლოვის საშუალება მაინც მიეცით-მეთქი.

შენ ვინ გკითხავსო, შემომბღვირა, ჩანდა, ვერ იყო ხასიათზე. შენისთანებია ხალხს რომ აბუნტებენო. შენისთანა ვაი-პატრიოტების ბრალია ცხრა აპრილის ხოცვა-ჟლეტაო. კარგად გიცნობ, რევაზ მიშველაძე ხარო.

ვიგრძენი, რომ მასთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. გავვარდი მუხრან მაჭავარიანთან.

მუხრანმა თვლემით მომისმინა, მაგრამ საქმიანი ვერაფერი მოიმოქმედა. მითანაგრძნო; „რას ვიზამთ, ჩემო რეზო, ძალა აღმართს ხნავსო“.

დავურეკე მინისტრ შოთა გორგოძეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა „დამიყვავა“, ჩვენ მაგ საქმეში არ ვერევი, ეგ კათალიკოს ილია მეორის გადაწყვეტილებააო. ვრეკავ მთავრობაში. ტელეფონს არავინ იღებს. გუმბარძე მოსკოვშია.

ექვს საათზე შოთა გორგოძემ მიხმო. შევედი თუ არა მინისტრის კაბინეტში, კაპუტევიტით მეცა ის პოლკოვნიკი.

აი, ვინ ჩავიშალა ოპერაციაო. მინისტრის და პოლკოვნიკის გარდა კაბინეტში იყვნენ მინისტრის მოადგილე შადური და კოლეგიის წევრი, პროფესორი მამია დარჩია. პოლკოვნიკის გარდა ყველანი სდუმდნენ.

ლაპარაკი არავის აცალა; ხალხიო, უკვე დათანხმებული მყავდა და მიშველაძემ ყველაფერი ჩამიშალაო. სიცრუეა! ჩემს ირგვლივ შეკრებილნი გაიძახოდნენ ცოცხალი თავით არ გავატანინებთ მილიციას აქედან გვირგვინებსო.

როცა შევკადრე, ტყუილს რატომ კადრულობთ-მეთქი;

უკანასკნელი სიტყვებით მლანძდა მეც და მთელი ქართული მწერლობაც. თქვენ-აო, სისხლის დაღვრის მომხრენი ხართო, საქართველოს თქვენაირები ღუპავენო. კარგად დაგინახეთ, გუშინ რუსთაველზე რომ დემონსტრაციას მიუძღოდით.

დასაპატიმრებელი და გამსახურდიასთან ერთად ციხეში ჩასალაპობი ხარ შენცო.

კაბინეტში მყოფთაგან არცერთმა არ „შეჰკადრა“, ხულიგნობას თავი დაანებეო. ცოტა დააკლდა საცემრად კინალამ გამოინია. პირზე ქაფმომდგარი გაჰყვიროდა უშვერ სიტყვებს.

„ყოჩაღ, ბატონო შოთა, მშვენიერი „კადრი“ შეგირჩევიათ მილიციის განყოფილების უფროსად-მეთქი“, ამის თქმალა მოვახერხე და მინისტრის კაბინეტი დავტოვე. პოლკოვნიკმა მუქარა მომადევნა.

მთელი გზა გულს მაზიდვინებდა ჩემი უმწეობის გამო. იმის გამო, რომ არავითარი ძალა არ მქონდა, რაიმე შემეცვალა.

27/IV 89
დღეს მედგა კახიძე, გრიგოლ ჯულუხიძე, ტაგუ მებურიშვილი და მე მარნეულის რაიონში წავედით ლიტერატურული საღამოს გასამართავად. სოფელ თამარისს ვესტუმრეთ;

რა გველიტერატურულსაღამოებოდა, მაგრამ მივიჩნიეთ რომ სწორედ ახლა იყო საჭირო სახლთან შეხვედრა და საერთო სატიკიარზე გულახდილი საუბარი.

რასაკვირველია, თავიდანვე ჩამოვაგდეთ სიტყვა 9 აპრილის ტრაგედიაზე. შეძლებისდაგვარად გავაანალიზეთ მისი მიზეზები. შევეხეთ თანამედროვე საქართველოს დემოგრაფიულ-სოციალურ და ეროვნულ-პოლიტიკურ ვითარებას და იქვე, რაკი სიტყვამ მოიტანა, მოვუწოდეთ სოფლის გამარავლებისაკენ.

წამოდგა ერთი ხანშიშესული სოფელი კაცი და გამოგვიცხადა; როგორ უნდა გავმრავლდეთ, როცა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სოფელში არც ერთი მეტრი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ გაცემულაო.

ენა ვერ აღწერს, რაც შემდეგ მოვისმინეთ.

რაისაბჭოს დეპუტატი ვარა დვალი ამბობს, ერთ ბინაში ოთხი ოჯახი ვცხოვრობთ. სამი ძმა სამივე დაცოლშვილიანებული და მიწის ნაკვეთს არ გვაძლევენ, იძულებული ვართ ავიბარგოთ და სოფელს გავეცალოთო.

ვარას სხვები ამოუდგნენ მხარში. ღამის მთელი დარბაზი ტირიდა. რა დროს მწერლობა და ღამაზი სიტყვებია, ვიღუპებითო.

დაღამდება თუ არა, სინათლეს გვითიშავენო.

ჩვენ ქართველებს ოცი წელია ერთი მეტრი მიწაც არ გვადირსეს ჩვენს ქვეყანაში, გადახედეთ მეზობელ სოფლებში ყოველდღე ჩნდება მეზობელ „ძმათა“ ახალ-ახალი სახლებიო.

გაგვაგებინეთ, რა პრივილეგია აქვთ, რა დაიმსახურეს ასეთიო.

სულ ხუთი პატარა სოფელია მარნეულის რაიონში — თამარისი, წერეთელი, ორჯონიკიძე, სიონი, წერაქვი და ხუთივე ასეთ დღეშიაო.

სკოლის დირექტორმა გურამ ქადარიამ, 14 წელია სკოლაში ვმუშაობ, აქეთ უნივერსიტეტმა გამომანაწილა, ჩამოვედი და ცოლ-შვილით დღემდე მეურნეობის საერთო ბინაში ვცხოვრობ, ყოველდღე ვანუხებ რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ ცივი უარით მისტუმრებენ, მივმართე ხელისუფლებას, მაგრამ იქედანაც უარი მითხრეს. ამ ბოლო დროს სკოლის დამხმარე მეურნეობისთვის მოვითხოვე ფართობი და იმაზეც უარი მტყიცესო.

სკოლაში ჯიუტად არ ხსნიან წიგნების მაღაზიას, რომ სოფელი ეროვნული წიგნებით არ განათლდეს.

სოფელს გვერდით ჩაუდის გაზგაყვანილობა, მაგრამ დღემდე სოფელს გაზს არ აძლევენ.

გზა საშინელია. ავტობუსი გვერდით, აზერბაიჯანულ სოფელში დადის და აქეთ არც შემოუხვევს, წრიულზეო.

ერთი ქორეოგრაფი გვყავდა კულტურის სახლში და ახლახან ისიც შტატების შეცმირებაში მოგვიყოლესო.

ეს ხდება მარნეულში. სადაც ქართველი მოსახლეობა 5%-ია, ხოლო აზერბაიჯანელი 95%.

ესაა ქვეყნის პატრონობა და სამართალი? ხვალვე უნდა გავვარდე აგრომრენვის თავმჯდომარე გურამ მგელაძესთან, უნდა ავტეხო ზარების რეკვა, უნდა ვეცე ყელში ტელევიზიას; ჩავიდეს თამარისში და სოფლის ყრილობა გადაიღოს.

ახლა თეორეტიკოსობის დრო არ არის, პრაქტიკული საქმეები უნდა ვაკეთოთ.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ბიბლიური ნიგნებისადმი საუკუნეთა განმავლობაში გამოვლენილმა დაუცხრომელმა ინტერესმა იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ მათ საფუძველზე ხელოვნების ყველა სფეროს წარმომადგენლებმა არაერთი ღრმად შთამბეჭდავი მხატვრული ნაწარმოები შექმნეს. ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, არც მხატვრული ლიტერატურა გამოდ-

ბა გარკვეულ სიძნელებთანაცაა დაკავშირებული, არამედ იმითაც, რომ ამ თვალსაზრისით ერთგვარ ბარიერს მკითხველთა ნაწილს ძველი ქართული ენობრივი ნორმების შედეგად წარმოქმნილი სირთულეც უქმნის.

როგორც ცნობილია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ამ ბარიერის დაძლევისა და ფართო საზოგადოებისათვის ბიბლიური სიბრძნის უფრო მეტად ხელმისაწვდომობის მიზნით ბიბლიური ტექსტები ამ

მა, თანამედროვე თვალთ დამენახა სახარებისეული მოვლენები და ერთხელ კიდევ გამესვა ხაზი იმ ჭეშმარიტებისათვის, რომ ახალი აღთქმის იდეები უკვდავია.“

უფლის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული ეპიზოდები რომანში დღევანდელი ქართული ენით, მკითხველისათვის ადვილად გასაგები ფორმითაა მოთხრობილი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისეული ნაამბობი შეესაბამება ახალი აღთქმის სიუჟეტურ პლასტებს, მის ცალკეულ ეპიზოდებს მწერალი

სულს ვერ შეუნდობ.“

აქედან გამომდინარე, ადამიანთა მიწიერი ცხოვრებისთვის საფუძვლის დამდებ შეგონებათა ქადაგების დროს რევაზ მიშველაძის მიერ წარმოსახული უფალი ადამიანთა ყურადღებას არაერთგზის მიაპყრობს ხსენებულ მოვლენას და სამშობლოს თავისუფლების დასაცავად მომხდური მტრის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლას მათ უმთავრეს მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევს. ნათქვამის დასტურად დავიმონებ შესაბამის ფრაგმენტს

ახალი თემატური მიმართულება რევაზ მიშველაძის პროზაში

გა გამონაკლისი და ბიბლიური თემატიკა ბევრი მწერლისათვის არა მარტო შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ მძლავრ შინაგან ძალად და შთაგონების მაგიურ წყაროდ იქცა, არამედ მათ მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტების სიუჟეტებადაც და ბიბლიურ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხთა მათეული თვალთახედვით ინტერპრეტირების წყაროდაც.

ეს ტენდენცია ჩვენს მწერლობაშიც გამოვლინდა მეტ-ნაკლები მასშტაბებით. კერძოდ, გარდა ქართული სასულიერო ლიტერატურის ნიმუშებისა, ნათქვამის დასტურად აქ ჩვენი საერო მწერლობიდანაც შეიძლება გავიხსენოთ უაღრესად საინტერესო არაერთი მხატვრული ტექსტი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვან ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება - ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაშიც მიზანმიმართულად გამოვლენილ აქტიურ მცდელობას, რაც ფართო საზოგადოებისათვის ბიბლიური ტექსტების მეშვეობით გამოხატული სიბრძნის პოპულარული ენით ინტერპრეტირებასა და კომენტირებას უკავშირდება.

ეს გარემოება არა მარტო იმითაა განპირობებული, რომ სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტებითა და ბრძნული შეგონებებით აღსავსე ამ ტექსტების მეშვეობით გამოხატულ ღვთაებრივ შეგონებათა ბოლომდე შეცნობა და გააზრე-

ბოლო დროს თანამედროვე ქართული ენობრივი ნორმებით გამართული ფორმითაც გამოდის.

ბიბლიური ტექსტებისადმი გამოხატულმა ზემოთ აღნიშნულმა ინტერესმა თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც მძლავრად იჩინა თავი და არაერთი მწერლის შემოქმედებაში გამოვლინდა. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს რევაზ მიშველაძის ახალი რომანი „ქრისტე“, რომელიც ავტორმა 2020 წელს გამოაქვეყნა მისი დაბადებიდან მე-80 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ საიუბილეო კრებულში.

ხსენებული რომანის შექმნით რევაზ მიშველაძემ თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები მანამდელი მისი მხატვრული ნააზრებისაგან არსებითად განსხვავებული მიმართულებით გამოავლინა. კერძოდ, სახარების კანონიკურ ტექსტებზე დაყრდნობით შექმნილი თავისი რომანის მეშვეობით მან ღრმად შთამბეჭდავი ფორმით მოგვითხრო ჩვენი მაცხოვრის - იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამბავი. აქედან გამომდინარე, რომანის სიუჟეტი ნაწილობრივ ემთხვევა სახარებისეულ ტექსტს. ამ გარემოებას თავად მწერალიც აღნიშნავს ნაწარმოებისთვის წამძვარებული წინათქმის მეშვეობით მკითხველისათვის მიწოდებული შემდეგი განმარტებით: „მომიტევოს უფალმა, რომ გავბედე მე, მართლმადიდებელმა ქართველმა მწერალ-

მისეული თვალთახედვით ინტერპრეტირებული სახითაც გვანვდის, რითაც ნაწარმოებს მეტ ემოციურ დატვირთვას სძენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის მონაკვეთები, სადაც უფლის მიერ ნაქადაგევი ცნებები ეროვნულ საკითხთან მიმართებითაა წარმორჩენილი.

ეს ტენდენცია ყველაზე მეტად ნაწარმოების იმ ეპიზოდებში გამოჩნდა, სადაც მწერალმა ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების საფუძვლად მისაჩნევ მცნებათა სახარებისეულ კოდექსს შემდეგი შეგონებაც დაუმატა ხაზგასმულად გამოკვეთილი ფორმით: „გიყვარდეს სამშობლო და იბრძოლე მისი თავისუფლებისათვის.“

აღნიშნულ მცნებას ადამიანთა მიწიერი ცხოვრებისთვის საფუძვლის დასადებ შეგონებათა ჩამონათვალში მწერალი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე შეგონებად რომ მიიჩნევს, ეს იმ განმარტებითაც დასტურდება, რომელსაც უფალი, ავტორის წარმოსახვით, ფართოდ ცნობილ შემდეგ მცნებას აძლევს: „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი.“ უფლის განმარტებით, ეს შეგონება „არამც და არამც არ ნიშნავს სამშობლოს მტრების სიყვარულს. სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერი კი არ არის, არამედ მთელი ხალხის, შენი მოდგმის, შენი ქვეყნის მტერია და მას ვერ შეიყვარებ და შენს მიწაზე ცეცხლითა და მახვილით მო-


უფლის ერთ-ერთი ქადაგებიდან: „ყოფელი სამეფო თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი, გაუბედურდება და ყოველი ქალაქი ან სახლი, რომელიც დაიყოფა თავისი თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს.“

ამიტომაც გაუფრთხილდი შენი მამაპაპეული მიწის ყოველ მტკაველს. გაულე სტუმარს კარი, მაგრამ არ დაასახლო ბოროტნი და უკეთურნი შენს მიწაზე...“

უნდა იცოდეთ, მიწა, რომელზეც სახლობ, მხოლოდ შენი ვერ იქნება მარადყამს. იგი ერთდროულად ეკუთვნის შენს წინაპარსაც და შენს შემდგომ მომავალსაც.

სამშობლოს მიწას ნუ გაჰყიდი და ნურც უპატრონოდ დააგდებ, რადგანაც გაზაფხულზე როგორც ხე ელოდება ღვთის ნებით კვირტის დასხმას, ისე მიწა ელოდება მთესველს.“

სამშობლოს მტრების მიმართ ამგვარი დამოკიდებულების გამოხატვა ავტორისეული თვალთახედვის არსებითად წარმომჩენ მოვლენას რომ წარმოადგენს, ამის დასტურად აქ რომანის ის ეპიზოდიც მინდა დავიმონმო, სადაც უფალი მის დასასჯელად შეკრებილ სინოდის წევრთა ბრალდებებს სცემს პასუხს. კერძოდ, აი, როგორ განმარტებას აძლევს იგი მისთვის წაყენებულ უმთავრეს ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ თავისი ქადაგებებით მან არსებითად შეცვალა მოსეს მიერ ნაქადაგევი უზენაესი სამარ-



თლის მცნებები: „კბილი კბილისა ნილ!“ და „თვალი თვალისა ნილ!“ და ამ მოთხოვნებს არსებითად განსხვავებული შინაარსი შესძინა.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს რომანიდან: „- ათ მცნებაში შეგიტანია ახალი „გიყვარდეს სამშობლო შენი და იბრძოლე მისი თავისუფლებისათვის.“ როგორ შეეგუება სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა შენს სასაცილო მოწოდებას „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი.“ თუ მტერი გეყვარება, როგორ ვიბრძოლოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის?“

უფლის განმარტებით, „ეგ სამშობლოს მტრებზე არაა ნათქვამი, თუმცა მტრის სიყვარულიც და მიტევებაც ერთგვარი ბრძოლაა სამშობლოს თავისუფლებისათვის.“

მიუხედავად იმისა, რომ რომანის სიუჟეტურ საფუძვლად ქცეული მოვლენები უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებული არაა, მწერალმა შეძლო მისი რამდენიმე ეპიზოდი გარკვეული სახით მაინც

დაეკავშირებინა ჩვენს ქვეყანასთან. მაგალითად, ამქვეყნიური ცხოვრების დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე ღვთისმშობელ მარიამთან გამართული საუბრის დროს მაცხოვარი თავის მიწიერ დედას მკითხველისათვის კარგად ცნობილ ასეთ ანდერძს უტოვებს: „შენი წილხვედრი იქნება კავკასიის ქედის ძირში, ზღვის ნაპირას მდებარე პატარა უტურფესი ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია. სწორედ საქართველო უნდა მოაქციო ქრისტეს რჯულზე, დედაჩემო, და მთელი შენი საუკუნო სიცოცხლის მანძილზე ქართველებს მფარველი კალთა გადააფარო.“

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისის დასტურად აქ რომანის იმ ეპიზოდსაც დავიმოწმებ, სადაც მწერალი საქართველოში უფლის კვართის ჩამოტანასთან დაკავშირებით არსებულ ფართოდ ცნობილ ამბავს ამგვარი სახით გვანვდის: „რომაელმა ჯარისკაცებმა კენჭისყრით გაიყვეს იესოს ტანისამოსი, ხოლო კვართს ხელი არ ახლეს.

თქვეს, ქრისტეს სისხლით შეღებილია და ამ კვართის შინ მიტანა ცოდვად ჩაგვეთვლებაო.

იერუსალიმში მცხეთიდან ჩასული ებრაელი ელიოზი მივიდა და სთხოვა ასისთავს:

თუ შეიძლება, ქრისტეს კვართს მე წავიღებო...

ელიოზმა ქრისტეს კვართი მცხეთაში ჩამოიტანა და სვეტიცხოვლის ტაძარს შესწირა, სადაც იგი დღემდე ინახება, როგორც ყველაზე დიდი სინმინდე.“

რევაზ მიშველაძის რომანის შესახებ საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ კომენტარებსაც მინდა მივაქციო, რომელთა მეშვეობითაც ავტორი უფლის მიერ ნაქადაგევ მცნებებთა მართებულობასთან დაკავშირებით მამა შანშეს იჭვნეულ და მკრეხელურ დამოკიდებულებასაც წარმოაჩენს ყოველგვარი შენიღბვის გარეშე. კერძოდ, შანშეს კომენტარებით აღშფოთებული მწერალი ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებლურ მცნებათა მართებულობაში დაეჭვებული ამ ფსევდოღვთისახურის მკრეხელურ რელიგიურ თვალთახედვას მისადმი მიმართული სიტყვებით ასეთ შეფასებას აძლევს: „შენ, მამაო შანშე, სახარებას კითხულობ, როგორც მწერლის დაწერილს და არა როგორც უფლის მიერ ჩაგონებულს. როგორ შეიძლება მასე.

მათე და მარკოზი შენ დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე ხვარ გგონია?“

შანშეს მკრეხელური ფსევდოქრისტიანული თვალთახედვისადმი მკვეთრად ნეგატიურ ამ დამოკიდებულებას მწერალმა მეტი სიცხადე და დამაჯერებლობა მისი პიროვნული ცხოვრებიდან მოტანილი შემდეგი კონკრეტული ეპიზოდითაც შესძინა: ტაძრის გვერდით მდგარი სატრაპეზო შენობის აივნისა და საინვალოდო ურიკაზე მჯდარმა ბიჭმა მამა შანშეს მუდარით გადმოსძახა, ქვემოთ ჩამოსვლაში დახმარებოდა. მაგრამ მამაომ დახმარების ნაცვლად გვერდზე გაიხედა და დახმარების მოთხოვნელ ინვალიდ ბიჭს ქვემოდან გულგრილად შესაძახა: „ხომ გითხარი, ხელი მეტკინა-თქვა! დოუძახე სხვას, ჩემს მეტი არაა აქანა არავინ?!“

- ჩამომატანიე, გეხვეწები, არ მოდის სხვა არავინ.

- რა ვქნა მე, თვარ მოდის. ხვარ გადაგყობიყენ ყველას.“

შანშეს ფსევდოქრისტიანული თვალთახედვისა და მისი მკრეხელური ქმედებებისადმი უკომპრომისოდ კრიტიკულ დამოკიდებულებას მწერალმა მეტი სიმძაფრე მის მეტყველებაში მიზანმიმართულად ჩართული იმ დიალექტური ენობრივი სიტყვა-გამოთქმების გამოყენებითაც შესძინა, რაც პრინციპულად არ შეესაბამება ჭეშმარიტი ღვთისმსახურის პიროვნულ კეთილშობილებას.

რევაზ მიშველაძის რომანზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა მის ენობრივ მხარეზეც მინდა ვთქვა, კერძოდ, მწერლის ინდივიდუალური ხელწერის წარმომჩენ იმ სიტყვა-გამოთქმებზე, რომლებიც ავტორისეულ ნაამბობს მეტ შთამბეჭდაობასა და ენობრივ ორნამენტულობას სძენს. მხედველობაში მაქვს თავად მწერლის მიერ შექმნილი ხატოვანი სიტყვა-გამოთქმები, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ორიგინალური სიტყვაქმნადობით გამოხატავს შესაბამისი მოვლენის ვიზუალურ მხარეს. მაგალითად: „ქრისტე ჩქარი ნაბიჯით ააღმართდა;“ „ააქლემებულ მოგვებს ზეზეულად ეძინათ;“ „ბიჭის შერბენა და იქიდან ყბებქვეშ ტილოს რიდემამომაგრებული დედაკაცის გამოვარდნა ერთი იყო;“ „სიმონ-პეტრეს ქვა ესასთუმლა;“ „მუცლის ზემოთ დაკერებული ჯიბიდან ხურდა ფულს ამოაფისტონებდა“...

ცალკე მინდა გამოვყო წარმოსახვითი ორიგინალობით აღბეჭდილი მეტაფორიზებული წინადადებები, რომელთა მეშვეობითაც ფრაზა მეტ შთამბეჭდაობასა და სიტყვიერ ხატოვანებას იძენს. მაგალითად, აი, როგორი ფორმით აუნყებს უფალი მრევლს თავის ღვთაებრივ მისიას: „ღვთის მიერ ანთებული სანთელი ვარ;“ „ჩემი „ათი მცნება“ და ჩემი „ლოცვა“ გინათებდეთ გზას ამ მრუდე და ოღროჩოღრო წუთისოფელში;“ ან კიდევ: ჰეროდისას ასულის „ცეკვა ჰაერში ცურვას ჰგავდა.“

მოკლედ, ასეთია უმთავრესი შტრიხები რევაზ მიშველაძის რომანისა, რომლის მეშვეობითაც ღრმად შთამბეჭდავი ფორმით წარმოჩინდა მწერლის ბელეტრისტული ხელოვნების სრულიად ახალი მიმართულება.

ედუარდ ასადოვი

*** ("Ты далеко сегодня от меня...")

დღეს ჩემგან შორს ხარ, მონყენილი დღეს
 არ იღიმი, მწერ შენს უსაზღვრო, უსასრულო, ძლიერ
 ტრფობაზე, და განშორების-სევდისაგან უძილობაზე,
 მეც რასაც ვწერ, სიტყვასიტყვით, ზუსტად
 იგივეს. ოჰ, ხშირად ვისმენთ, საჭიროა ზოგჯერ
 დროებით დაშორდე, რადგან ბედნიერთა ეს არის
 ხვედრი, თუ არ იქნება განშორება, აღარც შეხვედრა,
 იქნება მხოლოდ კამათი და უთანხმოება.
 ჰო, შეიძლება, ბრძნული იყოს, თუ სჯი
 გონებით. იქნება მართლაც ვიკამათოთ, თუ მუდამ
 გიმზერ. და მაინც, ქვეყნად ყველასი და ყველაფრის
 ჯიბრზე, მე მიხდა გითხრა: - ნურასოდეს ნუ
 დავშორდებით!

ფიქრობ, გამიგებ: არ მსურს ის, რაც
 სხვისთვის წესია. არ არის სევდა - გულები თუ გვერდიგვერდ
 ძგერენ! და თუკი მაინც ვიკამათებთ - რა მოხდა მერე,
 განშორება ხომ მაინც ბევრად უარესია!

ვერონიკა ტუმნოვა

*** ("Молодость... Старость...")

ახალგაზრდობა... და სიბერე...
 ჩვეულება, ნაცნობი ძალზე. მე კი სიცოცხლეს სხვანაირად
 გავყოფდი ასე: ორად, რაც იყო
 და რაც უკვე წარსულში დარჩა
 და რაც იქნება, მაგრამ ჯერ რომ აქედან არ ჩანს.
 რადგან ცხოვრებას ხომ ზომავენ -
 თავადაც იცით - ხან წლობით,
 ხანაც საათობით - სხვადასხვა რიცხვით.
 ხომ იცით - იყოს ხუთი წელი ან თუნდაც ათი,
 გადაუნონავს ზოგჯერ წუთებს სიმძიმე მათი.
 არ ვოხრავ: ყრმობავე, ოჰ, სადა ხარ!
 არც იმას ვყვირი: აჰ, მალე უკვე სიბერეა, ჯერ არნახული!
 შეკითხვას ვუსვამ ცხოვრებას და თან
 ლელვა მიპყრობს: რა დაგრჩა ჩემთვის, რა გაქვს კიდევ
 გადანახული? ვისხენებ ახლა ყოველივეს ისევ თავიდან,
 ვფურცლავ ცხოვრებას, ვით წიგნს
 ხელისგულისოდენას, თან როგორ მწვრთნიდა დაუნდობლად და
 მასწავლიდა, ზოგჯერ კი როგორ ძღვენს მჩუქნიდა
 მოულოდნელად.

ბედნიერება ვიცოდი და არ ვიცოდი სიმყუდროვე, წყნარი ოცნება,
 ტანჯვა ვიცოდი, არ ვიცოდი მონყენილობა.
 ბავშვობიდანვე ვეზიარე, რომ არ ხორცდება
 სამარადისო განშორების მძიმე ჭრილობა.
 ჩემი ხელები ლამაზი და ნაზი იყო, მაგრამ დაჰყვა ცხოვრების ნებას,
 ვერავინ ამჩნევს, რა ძალას ფარავს. გული ბოლომდე გავუხსენი
 ადამიანთა ბედნიერებას, ადამიანთა წუხილს და ვარამს.
 მეც მათთან ერთად ვიღიმოდი და ვტიროდი, გავხდი უფრო ჭკვიანი და
 უფრო უტეხი, გავხდი დამთმობი, გავხდი მტკიცე,
 შურს და ტყუილს გადავუდექი. ახალგაზრდობა - არის ძალა.
 სიბერე კი - დალლილობა. ფიქრობ და მჯერა -
 მარაგად ძალა შემომრჩა ჯერაც!

ანა ახმატოვა

*** ("Отодвинув мечты...")

ფიქრით დალლილმა ოცნებებიც თავს
 ავირიდე, ზამთარს ჩემსავით სხვა არ მოეღოს.
 გახსოვს, დამპირდი, რომ წვიმები
 გადაივლიდნენ? მაგრამ წვიმებმა შთანთქეს ყოველი...
 ბინის ფანჯრიდან გაკვირვებით ვუმზერ
 შორეთს და - სიზმარში ვარ თუ ცხადია ახლა?
 გახსოვს, ამბობდი - სიზმარია მთელი
 ცხოვრება? გავიღვიძე და, ჰოი, კვლავ ვცოცხლობ...
 მეორე დღეს კვლავ ვითამაშებ ჩემ როლს
 მთლიანად, ვინც უდროოდ სიცლის, ხეტილს.
 გახსოვს, ტრფობაზე რომ ამბობდი -
 ტკივილიაო?! შენ შეცდი, ტრფობა - ჯოჯოხეთია!

მარინა ცვეტაევა

*** ("Мы с Вами разные...")

ჩვენ განვსხვავდებით, როგორც წყლის და მიწის ბუნება,
 ჩვენ განვსხვავდებით, ვით ჩრდილი და სხივი მკრთომარე.
 მაგრამ გარწმუნებთ - ეს არ არის უბედურება,
 არამედ გახლავთ საუცხოო მონაპოვარი.
 ჩვენ განვსხვავდებით, წყალობაა მსგავსი
 პირობა! ერთმანეთს ვავსებთ იმით, რაც კი ცალკე
 გვეძლევა. რა შეუძლია რომ შეგვმატოს
 ერთნაირობამ? მხოლოდდამხოლოდ ჩაკეტილი რკალის
 შეგრძნება...

მიხეილ კუზმინი

სიყვარული

1 პირველად როდის შეგეყარე, აღარ ახსოვს ჩემს მწირ გონებას:
 სისხამი იყო, დღის სინათლე, სალამო თუ გვიანი ღამე.
 მახსოვს მხოლოდლა მკრთალი ლოყები, ლეგა თვალები მუქ წარბებს ქვემოთ
 და შავგვრემანი ყელის პირზე ლურჯი საყელო,
 და მომეჩვენა, ეს ადრეულ ბავშვობაში უკვე მენახა,
 თუმცა შენზე ბევრად დიდი ვარ.

2 შენ - ისე როგორც ყრმა ჭაბუკი მისანთან
 მყოფი, ყოველივეს კითხულობ გულში,
 იცნობ ჩემს აზრებს, იცი ჩემი ყოველი ფიქრი,
 მაგრამ აქ შენი ცოდნა მცირეა,

და არც არის ბევრი სიტყვა ახლა საჭირო,
 არც სარკე გინდა, არც ღუმელი ნახშირით
 სასვე:

ამ ჩემს გულში, ჩემს აზრებში და ჩემს
 ფიქრებში სხვადასხვა ხმით ერთადერთი რამე ჟღერს
 მხოლოდ: „მიყვარხარ ძლიერ, საუკუნოდ,
 სამარადისოდ!“

3 უეჭველია, მე შუადღისას ჩავისახე,
 უეჭველია გავჩნდი შუადღეს, და ადრეული ასაკიდან მიყვარს მზე,
 მისი სხივთა ციალი მას შემდეგ, როცა დავინახე შენი თვალები,
 მე მზის მიმართ გულგრილი გავხდი:
 რატომ მიყვარდეს ერთი, როცა შენს თვალებში ორია იგი?

4 ხალხი ხედავს ბალებს სახლებით
 და ზღვას, მენამულს დაისის გამო, ხალხი ხედავს თოლიებს ზღვაზე,
 ბრტყელ დაფებზე დაწოლილ ქალებს, ხალხი ხედავს აბჯარასხმულ მეომრებს და
 გამყიდველებს, მოედანზე ღვეზელებს რომ დაატარებენ,
 ხალხი ხედავს მზეს და ვარსკვლავებს, ნაკადულებს და მდინარეებს,
 მე კი ყველგან ვხედავ მხოლოდ ფერმკრთალ ლოყებს,
 ლეგა თვალებს მუქ წარბებს ქვემოთ და უბადლო მოხდენილ სხეულს, -
 ასე ხედავენ მეტრფის თვალები, რისი ხილვასაც ბრძენ გულს სწყურია.

5 დილით სახლიდან როცა გავდივარ, მზეს რომ ვუმზერ, ამგვარად ვფიქრობ:
 „როგორ გგავს იგი, მდინარეში როცა ბანაობ ან გაჰყურებ შორეულ მდელს!“
 და შუადღისას, იმავე მწველ მზეს რომ ვუყურებ,

კვლავ შენზე ვფიქრობ, სიხარულო: „როგორ გგავს იგი,
 როცა ქუჩას მიუყვები, ხალხმრავალს, სავსეს!“

და საამო დაისის დროსაც შენ მოდიხარ ჩემს გონებაში,
 მოფერებისგან განაბული როცა იძინებ და დამძიმებულ ქუთუთოებს ნელ-ნელა
 ხუჭავ.

6 ამოდ ხომ არ ვკითხულობდი ღვთისმეტყველებს,
 არც რიტორებთან ვსწავლობდი ტყუილად, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა ჩვენ კარგად
 ვიცით და ყველაფერი შეგვიძლია განვმარტოთ
 შეიდეგ ზის.

მე ძალმიძს ოთხი სათნოება რომ ვიპოვო
 შენს სხეულში და შვიდი ცოდვა, რალა თქმა უნდა;
 ნეტარებასაც მოვიპოვებ სიამოვნებით; მაგრამ ერთი რამ უცვლელია ყველა
 სიტყვიდან: როდესაც ვუმზერ შენს ლეგა თვალებს
 და როდესაც ვამბობ: „მიყვარხარ“ - ყველა რიტორი გაიგონებს მხოლოდ
 „მიყვარხარ“ და სხვა არაფერს.

7 რომ ვყოფილიყავ ძველი დროის მხედართმთავარი,
 დავიპყრობდი სპარსეთსა და ეთიოპიას, დავამხობდი ფარაონს და
 ავიგებდი პირამიდას, ხეოფსზე მაღალს,
 და გავხდებოდი ეგვიპტეში სუყველაზე სახელოვანი!

რომ ვყოფილიყავ გაქნილი ქურდი, გაქურდავდი მენკაურას ძვირფას სამარეს,
 ალექსანდრიელ ებრაელებს მიყვიდი დი ძვირფას ქვებს და
 ვიყიდი მიწებს, წისქვილებს, და გავხდებოდი
 ეგვიპტეში სუყველაზე უფრო მდიდარი.

რომ ვყოფილიყავ მე მეორე ანტინოე, წმინდა ნილოსში რომ დაიხრჩო -
 სილამაზით ყველას ჭკუას დაუუკარგავდი, სიცოცხლეშივე ამიგებდნენ დიდებულ
 ტაძრებს და გავხდებოდი ეგვიპტეში სუყველაზე უფრო ძლიერი.


რომ ვყოფილიყავ დიადი ბრძენი, მთელ ჩემს ქონებას დავხარჯავდი,
 უარყოფდი ყოველგვარ საქმეს, სხვის მამულებს ვუდარაჯებდი -
 და გავხდებოდი ეგვიპტეში სუყველაზე თავისუფალი.

რომ ვყოფილიყავ შენი მონა უკანასკნელი, ვიჯდებოდი მიწის ჯურღმულში
 და წელიწადში ანდა სულაც ორ წელში ერთხელ ვიხილავდი შენი სანდლების ოქროს არმიას,
 როცა შემთხვევით ჩაივლიდი ხაროსთან ახლოს,
 და გავხდებოდი ეგვიპტეში ბედნიერი ყველაზე უფრო.

თარგმნა ვასილ გულეურმა



თამარ ჯაჭვაძე - 60



აკაკი დაუშვილი - 60



ჯანრი გოგევილი - 75

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი თამარ გიორგის ასული ჯაჭვაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო თამარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ქართული მწერლობის რუსთაველი ფრთის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1978 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ივრის განთიადში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობა „ვაი, ვაშლის ბრალი“.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, მოთხრობები, რომანი, პუბლიცისტური სტატიები, პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური და პროზაული კრებულები „სული ლექსად ინთება“, „სულთშესაფარი“, „ტყემლის ღიმილი“ ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულებში ქართველი შემოქმედის სულიერი ღრმადისა აღბეჭდილი, მისი ტკივილები და სიხარულია ჩაკრისტალებული. ღრმა დაფიქრება მისი საესავე სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი რომანი „ძალთა ჭიდილი“, რომელშიც მართლად, მწერლური სინდისიერებითაა აღწერილი 2008 წლის ტრაგიკული მოვლენები, როდესაც დედასამშობლოს მკერდს მოგლიჯეს მისი ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარე, რომელსაც ამ ხუთდღიანი ომის გარეშეც ისედაც სისხლით მორწყული ისტორია ჰქონდა...

თქვენი პოეტური თუ პროზაული ნაწარმების ლოგიკური გაგრძელებად გვესახება პუბლიცისტური სტატიები, რომლებშიც სრული სისავესით გამოჩნდა სამშობლოს ერთი გულმტკივანი შემოქმედის სწორი და უშეღავათო დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი.

თქვენი საუკეთესო ნაწარმოებები შესულია ისეთ სოლიდურ გამოცემებში, როგორცაა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია, ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული. ისინი ითარგმნა უცხოურ ენებზე.

წლების განმავლობაში იღვწოდით რუსთავის კულტურულ-სამწერლო ცხოვრების ასაღორძინებლად. მუშაობდით ჟურნალ „ორბეთის“ ლიტერატურული მუშაკად, ჟურნალ „ათინათის“ განყოფილების გამგედ.

არაერთ ლიტერატურულ კონკურსში გაგიმარჯვიათ. თქვენს ლიტერატურულ ჯილდოებში მაინც გამოკვეთილად ბრწყინავს ქართული პოეზიის დედოფლის - ანა კალანდაძის სახელობის პრემია.

თქვენს მეგობრებს კარგად მოეხსენებათ, თუ რა მტკიცე, გაუტყეხელი ხასიათისა ხართ, რა მიზანსწრაფული და გენამს, რომ ყველა წინააღმდეგობას გადალახავთ და დიდხანს, ძალიან დიდხანს იქნებით ქართული მწერლობის ავანგარდში.

ქალბატონო თამარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ლევანის ძე დაუშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო აკაკი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ უერთგულეს, პატიოსნებითა და ნიჭიერებით გამოჩენულ წევრს და გილოცავენ დაბადების 60 წელს.

1986 წელს ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობები. ასე შედგა თქვენი სამწერლო დებიუტი, რომელიც ფეხბედნიერი გამოდგა. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გასულა და ამ ხნის განმავლობაში თქვენი მოთხრობები და მხატვრული თარგმანები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი მოთხრობების ისეთი კრებულები, როგორცაა „განაჩენის მოლოდინში“, „უცნაური ბიჭი“, „საყმანვილო მოთხრობები“, „გლადიატორები“... სწორედ ამ კრებულებში გაცხადდა სრულად თქვენი მწერლური ნიჭიერება, საგნებისა და მოვლენების აღქმის თქვენებულის მანერა, მოყვასის თანადგომისა თუ თანამობის ძალუმი მზაობა. დამოკიდებულება ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაში, იმ პრობლემებისადმი, დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდა ჩვენი მამულის თავზე...

ქართველი ბავშვების საყვარელ ნაწარმოებად იქცა თქვენი ზღაპარი „ხელიკი კოსტას ამბები“, რომელიც 2019-2020 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „დილას“ თექვსმეტ ნომერში.

ცალკე უნდა აღინიშნოს თანამედროვე რუსული პროზის კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა, რასაც წლები შეალიეთ და რომელმაც ქართველ მკითხველს თითქმის სრული წარმოდგენა მისცა არამარტო XX-XXI საუკუნეების რუსული პროზის განვითარების ტენდენციებზე, არამედ ასევე სრულად დაანახა თავად რუსეთის დღევანდელი სახე, ის საშინელი რეალობა, რომელსაც ასე დაუფარავად აღწერენ თავად რუსი შემოქმედნი...

თქვენი საუკეთესო მოთხრობები თარგმნილია რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე...

წლების განმავლობაში ეწეოდით და ეწევით ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. ჩვენ, თქვენს მეგობრებს, კარგად გვახსოვს თქვენი საქმიანობა თელავის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორის პოსტზე, როდესაც უშურველად იღვწოდით კახთბატონის სატახტო ქალაქის სულიერი ცხოვრების წინსვლისათვის. სხვადასხვა დროს იყავით „ნობათის“ სარედაქციო კოლეგიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი, ლიტერატურულ აღმანახ „თელავის“ მთავარი რედაქტორი, ლიტერატურულ აღმანახ „ალაზნის“ პასუხისმგებელი მდივანი, სალიტერატურო გაზეთ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „ღვინჯუას“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „მხარობელის“ სარედაქციო საბჭოს წევრი...

2004 წლიდან რედაქტორობთ სალიტერატურო ჟურნალ „ოლეს“ და ამ ხნის განმავლობაში ეს ჟურნალი სოლიდურ, ანგარიშგასაწევ ლიტერატურულ ორგანოდ აქციეთ.

როგორ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას იმაზე, რომ ფუძემდებელი და აღმასრულებელი დირექტორი ბრძანდებით ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისა, რომელსაც „წმინდა ნინოს ჯვარი“ ჰქვია. ლამის საყოველთაო უღმერთობის ფაშს თქვენი ფესტივალი ოაზისად მოჩანს დღევანდელ საქართველოში, როგორც ქართველთა რწმენის ურყევობისა და სიმტკიცის ბალავარი.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწი ქართული მწერლობის სამსახურში დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ქართული მწერლობის ამაგდარის საპატიო წოდება.

ჩვენო აკაკი!

გვიხარია თქვენთან მეგობრობა, რადგან თქვენს თავდადებას და ერთგულებას საერო საქმეებისადმი საოცრად ესადაგება თქვენივე თავდაბლობა და მორიდებულობა, რაც ძალაუფლებურად მნიშვნელოვან ალევორიას ახსენებს თქვენს კოლეგებს.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს უერთგულეს მხედარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი ჯანრი ავთანდილის ძე გოგევილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ჯანრი!

ჩვენო ღირსეულო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მრავალმხრივ, მრავალწახნაგოვან შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 წლისთავს.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გასულა მას შემდეგ, რაც 1968 წელს ადიგენის რაიონულ გაზეთ „განახლებულ მესხეთში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი მოთხრობა „მესხური ყაყაოები“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - რომანები, მოთხრობები, ლექსები, პიესები, იუმორესკები, ზღაპრები, პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი შემოქმედება ერთი გულმდუღარე ქართველი პატრიოტის სულიერი ღრმადისა, რომელმაც, სანამ მწერლობაში შემოაბიჯებდა, დიდი ცხოვრებისეული გზა განვლო, ძირისძირობამდე შეისწავლა მისი საესავე სამშობლოს ყოფა, ჩაუღრმავდა ქართულთა ბედისა თუ უბედობის გენეზისს და ბოლოს ეს ყველაფერი მწერლური ხელოვნებით განაზოგავდა თავის ნაწარმოებებში.

ამიტომაც შეხვდა ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით თქვენს ისეთ რომანებს, როგორცაა „შემოღობა ტკბილი სულები“, „სიყვარულის კრემატორიუმი“, „გამთენებელი ღამისა“, „თეთრი კედელი“, მოთხრობების კრებულებს „მემკვიდრეს“, „ლტოლოვლის სიზმარეთიდან“, „მიმიკრიას“, „იოგობანას“, პოეტურ კრებულს „სიზმრიდან ცხადში“... დიხაც რომ მრავალწახნაგოვანი შემოქმედი ხართ და ერთნაირი ძალმოსილებით ემსახურებით სიტყვაკაზმული ლიტერატურის სხვადასხვა ფანოს, ემსახურებით გატაცებით, რწმენითა და იმედით...

სხვადასხვა დროს იყავით სცენისმოყვარეთა დასის ხელმძღვანელი, უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, უფროსი ტექნოლოგი, ღამის დარაჯი, ელექტროამნის მემანქანე, სტამბის მბეჭდავი, სასოფლო კლუბის გამგე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, დრამატული თეატრის დასის გამგე, სარეკლამო სააგენტოს უფროსი რედაქტორი, გამომცემლობის რედაქტორი.

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი იყავით ჟურნალ „ხატოვანი მოტივაციებისა“, დააარსეთ გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან“, ეროვნული ცნობიერებისა და მნიგნობრულ-მისიონერულ მცნებათა მხარდამჭერი ფონდი, რომლის პრეზიდენტიც თავად იყავით, აგრეთვე მწერალთა ასოციაცია „ეროვნული ცნობიერების ანალიტიკური ცენტრი“. ამ ცენტრის თანაპრეზიდენტი იყავით წლების განმავლობაში და სულ ცდილობდით დიდი ილია მართლის გზაზე ვაჟკაცურად და ქედუხრელად სიარულს, შეგქონდათ რა თქვენი წვლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებაში.

ბატონო ჯანრი!

გვიხარია, რომ თქვენი სახით ერთგული და ნაცადი მეგობარი გვყავს, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო, რომლის იმედიც შეიძლება გქონდეს.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედსა და მამულიშვილს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სოსო სიგუა

რელიგიები კულტურის საწყისს ღმერთის სახელს უკავშირებენ, კულტურას ღვთაების ემანაციად თვლიან;

ჰეგელი სულიერებას მიიჩნევდა განმსაზღვრელად, სულის (გონის) პიროვნულ, საზოგადოებრივ და აბსოლუტურ თავისუფლებას, რაც გამოვლინდა რელიგიის, ხელოვნების, ფილოსოფიის, მეცნიერების ფორმებით, ენასა და სახელმწიფო სისტემებში.

კულტურის საწყისს ფრ. ენგელსი შრომასა და შრომის იარაღების დამზადებას უკავშირებდა, რომ შრომის პროცესმა წარმოშვა კომუნიკაციის მოთხოვნილება, რასაც მოჰყვა ამეტიყვევება.

ენგელსი ემყარებოდა ლ. ჰ. მორგანის კონცეფციასა და კ. მარქსის ეკონომიკურ თეორიას.

ზ. ფროიდმა კულტურის საწყისი გამოიყვანა ადამიანის შინაგანგონიდან – ფსიქიკიდან. იგი „ოიდიპოსის კომპლექსში“ ხედავდა რელიგიის, ხელოვნების, ზნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დასაბამს.

მან ადამიანისა და ცხოველის განმასხვავებელ ნიშნად სინდისი ჩათვალა, რაც მოჰყვა პირველცოდვას – პრამამის მკვლელობას, რასაც ტომი რიტუალურად აღსრულებდა.

ზ. ფროიდის ამოსავალი იყო ეთნოლოგიური თეორიები და თავისი ფსიქოანალიტიკური კონცეფცია, რომლის საფუძველია სექსუალობის ტრანსფორმაციები.

კ.გ. იუნგმა კულტურის საფუძვლად არქეტიპები მიიჩნია, რასაც კაცობრიობის უძველეს ფსიქიკურ დანაშრევებს, სულის ქტონურ ნაწილს უწოდებდა.

ი. ჰაიზინგამ, ისევე როგორც ადრე ფრ. შილერმა, თამაში ჩათვალა კულტურის სტიმულატორად, რომ თამაში, რაც სწვევიათ ცხოველებს, არის კულტურის ყველა სახეობის თვისება, ე.ი. გარდასახვა.

ე. კასირერის აზრით, ადამიანი სამყაროს სიმბოლურად აღიქვამს, რაც განსხვავდება ცხოველურ ნიშანთა სისტემისაგან. ცხოველი პირდაპირ რეაგირებს სიგნალზე, ადამიანი ახდენს აზრობრივ გადაამუშავებას.

კასირერი ეყრდნობოდა თავისი სიმბოლური ფორმების ფილოსოფიას, ამ თვალსაზრისით სწავლობდა რელიგიას, მითოლოგიას, ენას, ხელოვნებას.

ლ. მამფორდსა და ს. ლანგერს კულტურა გამოჰყავდათ რიტუალიდან, რაც კოლექტიური და სიმბოლური მოქმედება იყო.

კ. იასპერსი აღნიშნავდა, რომ ჩვენ ვიცით შედეგი, არ ვიცით როგორ იქცა ადამიანი ადამიანად, მაგრამ ხაზს უსვამდა შიშსა და სიმამაცეს.

პ. ფლორენსკის აზრით, ძველი კულტები შემადრწუნებელი იყო და ამიტომ იძლეოდნენ იდუმალებათა ნვდომის სტიმულს.

ნ. ბერდიაევი კულტურის საფუძვლად რელიგიას მიიჩნევდა, წინაპართა კულტს, რელიგიური მსახურების იერარქიულ ხასიათს. ასევე თვლიდა უ. მარიტენი. პ. გურევიჩი კომპლექსურ საწყისებზე აკეთებს აქცენტს: ცეცხლი და იარაღი, მეტიყვევება და აკრძალვათა სისტემა (ტაბუ), გაერთიანებების შექმნა და მითის თხზვა, რომელთა საფუძველია გონება.

აღბათ ყოველი მათგანი ხელს უწყობდა ცხოველური ინსტინქტების აღაგმვასა და გარდასახვას, ხელს უწყობდა მეტნაკლები ინტენსივობით,

თა, დროის ლოკალითა და რომელიმე მათგანის რომელიმე ტომისათვის მეტი აქცენტირებით.

პირველყოფილი ადამიანი სასიცოცხლო ინსტინქტებით იმართებოდა და ამიტომ ყოველი ნაბიჯი, რომელიც მას აცილებდა ცხოველთა სამყაროს და სძენდა კულტურის ნიშნებს, ნაკარნახევი იყო აუცილებლობით. ამ აუცილებლობას კი ხსნიდა მაგიურ ძალთა მოქმედებით, მათდამი რწმენით.

ამდენად იყო მისი ქცევა, მოქმედება და აზრი რეალობის არასწორი აღქმის შედეგი.

არსი – აფექტები

რიტუალი – კულტურის სახეობათა ბირთვი თეორიები

მართებული იქნება თუ ჩავთვლით, რომ როგორც ენის, ისე კულტურის სახეობათა საწყისი დაუკავშირდეს დრამატულ, სულის შემარყეველ, უძლიერეს აფექტებს, ექსტრემულ სიტუაციებს, კონფლიქტებს, რაც სიკვდილის ზღვრამდე მისვლით გარდაქმნიდა ცნობიერებას.

აფექტები ბუნების უდიდესი ძალებია (ფრ. ნიცშე). მათ იწვევს სისხლის უეცარი აზვირთება, ნეირონების აღვსება, რაც ააქტივებს ფსიქო-ნერვულ სისტემას, აძლიერებს შინაგან პროცესებს, მათ ფუნქციონირებას.

აფექტები ჰუმორალურ-ენდოკრინული, ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემების მკვეთრი ცვლილებანია, რაც ვლინდება მოძრაობით, კუნთების დინამიკით, სუნთქვით, გულისცემით, სისხლის დინებით, ხმით, მიმიკით, უესტებით და არღვევს სიმშვიდესა და სტაბილობას.

ყველაზე მძაფრი და შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო ტოტემებლადის მკვლელობის, კაცთშენიერვის, ნადირობის, გლოვა და მარხვის ერთიანი ექსტაზური რიტუალები, რომელთაც დროის ნახევარზე მეტი ეკავათ.

მათ ჰქონდა სასტიკი და სისხლიანი კოლექტიური სპექტაკლის ფორმა, რომელშიც გაერთიანდა ველურთა და ბარბაროსთა ტემპერამენტი, სული და ხედეა, მაგია და რეალობა, ტოტემისტური წარმოდგენები და აკრძალვათა სისტემა.

რიტუალებში ერთმანეთს ერწყმოდა რელიგიის, ხელოვნების, ომის, სპორტის პრაფორმები, როგორც უზენაეს ძალთა დიდება და მსახურება, მათდამი შიში და მათზე ტრიუმფი.

ფორმა – თამაში

აფექტების გამოვლენა და გადანაწილება, ნადირობა თუ რიტუალები და მისტერიები თამაშის ფორმას ატარებდა, როცა შინაგანი სწრაფვები და ლტოლვები გარდასახებოდა.

თამაშობენ ცხოველები. განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში (მაგ., ძაღლის ლეკვები, კატის კნუტები, დათვის ბელები), თამაშობენ ერთმანეთთან და დედასთან, რაც არის შერკინების იმიტაცია, ფიზიკური გამაგრება და მოძრაობის დაუფლება.

არტისტიზმი ახლავს მეტიყვევებას, მოქმედებას თუ ქცევას, რათა მოხდეს მოძალებული გრძნობების, შიშისა თუ აგრესიისაგან განმუხტვა, მათგან დისტანცირება, მათდამი თავისუფალი მიმართება. მაგრამ არსი არ შეიძლება თამაში იყოს.

თვით სპორტული შეჯიბრებებიც

კი შინაგანად ბრძოლასა და დაპირისპირებას გულისხმობენ – ერთმა უნდა სძლიოს მეორეს, ოღონდ უსისხლოდ. ადრე კი თამაშსაც სისხლი ახლდა. მაგ., აცტეკებისა და მაიების ბურთობას ერქვა „ტლატილი“. თამაშობდა ორი გუნდი. გამარჯვებულის კაპიტანი თავს აჭრიდა დამარცხებულის კაპიტანს. ზოგჯერ გამარჯვებულსაც სიკვდილიც სჯიდნენ, რათა თავისი სისხლითა და სხეულით თანამოძმენი გაეძლიერებინა.

რიტუალი – სპექტაკლი

ველურები შმაგი როკვით (ტოტემ-ცხოველის – ბიზონის, ირმის, ლომის თუ გველის მოძრაობის იმიტაცია),

დოლების ბრაგუნითა და ფლეიტების ნივილით (ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის იმიტაცია), სურნელთა კმევით (ბუნების ყვავილობის იმიტაცია), ალგზნებული შეძახილებით (ტოტემ-ცხოველის ღმუილის იმიტაცია), შუბებითა და ხელცულებით (ნადირობისა და ბრძოლის იმიტაცია) საზეიმოდ კლავდნენ ტოტემცხოველს, ტოტემებლადს, ღმერთისა თუ ბელადის (მეფის) მონაცვლეს თუ სამსხვერპლო პირს.

შემდეგ კი იყოფდნენ შენირულის სისხლსა და ხორცს, როგორც მაგიურ ძალად ქცეულ მზის ენერგიას, ეძლეოდნენ რიტუალურ პროსტიტუციას.

მათ ამოძრავებდათ სისხლიდან, ქრომოსომებიდან და გენებიდან გადმოსული დაუდეგარი რიტმი, იგივე ბიოლოგიური რიტმი, როგორც მიიჩნევდნენ ვ. ვუნდტი და კ. ბიუნსერი.

რიტუალები ამოდის ცხოველთა ინსტინქტური ქცევებიდან, რომელთა უამრავი თაობა ერთნაირი სიზუსტით იმეორებდა წინაპართა მოქმედებას. საწყისი კი იყო ნადირობა – მხეცის ანუ შიშის ძლევა.

სანესჩვეულებო, სეზონური თუ ორგანოსტული დღესასწაულებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო კაცთშენიერვის რიტუალები, როგორც ტოტემისა და ბელადის მკვლელობა, ვარიაცია და იმიტაცია.

მისტერიები და რიტუალები იყო კანიბალისტური და სექსუალური ვნებების აზვირთება და დაცხრომა, აფექტების კულმინაცია, შიში და ძრწოლა, სიმამაცე და ექსტაზი, რაც არყევდა და ცვლიდა ცნობიერებას.

ეს იყო ტაბუირებით შეზღუდული თავისუფლების აღდგენა, თავისუფალი ქცევითა და მოქმედებით თრობა.

ამგვარი ეგზალტირებული რიტუალები, რომლებშიც შემდეგ სისხლი შეცვალა ღვინომ, იყო რეგლამენტირებული ამბოხი ახალი წესრიგისადმი, უფლის დიდება და ვედრება.

რიტუალებსა და მისტერიებში ემოცია უმაღლეს რეგისტრს აღწევდა, რაც იყო საკუთარ შეგრძნებებში, რიტმიკასა და ჰარმონიაში ჩაძირვა.

ემოციების საფუძველი კი არის სისხლძარღვთა და ენდოკრინული სისტემები (ჯეიმსლანგე), რაც ადრენალინის გამოყოფას უკავშირდება (კენონი).

როგორც კაცთშენიერვა, ისე ნადირობის ან დაღუპულთა გლოვის სამეფო თუ სეზონური დღესასწაულები, სექსუალური ლტოლვებისა და კავშირების რიტუალები ღმერთებით (ტო-

ტემებით) იყო შთაგონებული და მათ მიემართებოდა.

ეგზალტირებულ რიტუალებში თავდაპირველად ყველა თანაბრად მონაწილეობდა, შემდეგ კი მასას გამოეყვნენ წარმმართველები – ქურუმები, როგორც მაყურებელს მსახიობები და დარბაზს – სცენა.

რიტუალები და მისტერიები აძლევდნენ საწყისს მღვდელმსახურებას, თეატრალურ-კარნავალურ წარმოდგენებს, მითოსს, ცეკვას, სიმღერას, ლექსს, მუსიკას, მხატვრობას, სკულპტურას, სპორტულ შეჯიბრებებს, ტრაგედიასა და კომედიას, საკულტო ტაძრებს – არქიტექტურას, მორალსა და ზნეობას, დრამატულ, კომიკურ, ლირიკულ ესთეტიკურ გრძნობებს, ადამიანთა ეთნიკურ ერთიანობას, ცერემონი-ალებს.

ეს კი ნიშნავდა ენისა და მეტიყვევების განვითარებასაც. ხოლო მითოსი ავსებდა და ავრცობდა რიტუალების შინაარსს, რომელშიც ერთვებოდნენ არა მხოლოდ ქურუმები, არამედ რიტუალის მონაწილენიც ანუ დიონისურ სტიქიას ენაცვლებოდა აპოლონური სტიქია.

მითები თაობიდან თაობას ზეპირი სიტყვით გადაეცემოდა, რაღაც აკლდებოდა, რაღაც ემატებოდა და ასე შორდებოდა პირველსაწყისსა და ქურუმთა თვალსაწიერს.

მოქმედება კედლის რელიეფებსა, ლარნაკებსა და სიტყვაში გადავიდა, სახე და გარეგნობა – ქანდაკებაში, ამბავი – მწერლობაში, ხმა და ხმაური – მუსიკაში.

მითების თხზვა სიტყვიერი ხელოვნება იყო, რომელსაც აკლდა წერილობითი გაფორმება, რათა ლიტერატურად ქცეულიყო.

დაკრძალვა აერთებდა რელიგიურ რიტუალს, არქიტექტურას, სკულპტურასა და ფერწერას, რიტორიკასა და პოეზიას.

კულტურა ამოდის ანიმისტური, ტოტემისტური ანუ პრარელიგიური წარმოდგენების, კონკრეტული სახით – კანიბალიზმისა და პროსტიტუციის ნიალიდან, როგორც ჯერ ღმერთების ნებით მათი რეგლამენტირება და შემდეგ – აღკვეთა, ამ უმძაფრესი განცდების ჯერ ჩაძირვა ქვეცნობიერში, შემდეგ – სიმბოლური ტრანსფორმაცია.

უზენაესი ძალის რწმენა, რომლითაც შეპყრობილია ადამიანი, შეუძლებელს აღწევს: მღვდლვარე სისხლის ნაკადი აწყდება ნეირონებს, ჟანგბადისა და გლუკოზის უეცარი სიჭარბე ააქტივებს ნეირონებისა და ნერვული სისტემის მოქმედებას, საგანთა ფსიქიკაში აღბეჭდვას.

სტაბილობის დარღვევას კი მოსდევს გადაცდომა – მოულოდნელი სიახლე. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური და მასობრივი.

კაცთშენიერვის რიტუალებს თეატრი გამოეყო ძველ საბერძნეთში (ძვ. წ. VI საუკუნე), როგორც სიტყვის, მუსიკისა და ცეკვის სინთეზი, როგორც რეალობის თამაშით აღქმა, ექსტაზის წარმოსახვით აღძვრა, უძველესი სისხლის წყურვილის წარმოსახვით დამაყოფილება. კაცთშენიერვა სცენაზე თამაშდებოდა. ხოლო ამფითეატრებში გლადიატორები რეალურად ხოცავდნენ ერთმანეთს, რაც მაყურებელს ალაგზნებდა.

მთელი ისტორიის მანძილზე კულტურას არ სცილდება ღმერთის შარავანდედი, რაც რჩება როგორც იდუმალის, შეუცნობელისა და ყოველისმქმნელის სიმბოლო (იხ. „კულტურის ფორმირება: ღმერთების ნება“).



ომოძინება

გურამ დოჩანაშვილი

გურამამც დაგვტოვა, დოჩანაშვილმა, მშვენიერმა მწერალმა და საინტერესო პიროვნებამ. უკეთეს, იმქვეყნიურ სამყაროში გადაინაცვლა და იქ დაიღო ბინა. საბურთალოს სასაფლაოზე, ადრე დაღუპულ შვილის გვერდით დაკრძალეს.

გურამი ჩემი კურსელი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე, ხუთი წელი ერთად გავატარეთ.

ანგარიში ამერია, უკვე ველარ ვითვლი, თუ მერამდენე თანაკურსელი დავკარგე. სამწუხაროდ, გურამიც მათ რიცხვს მიემატა. განვიცდი და გული მტკივა...

ძლიერი და გამორჩეული კურსი გვყავდა, საიდანაც ერთი ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ამჟამად კი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი (როინ მეტრეველი), რამდენიმე დარგობრივი აკადემიების წევრი და თხუთმეტამდე პროფესორ-მასწავლებელი გამოვიდა, ამის გარდა ორი ცნობილი მწერალი (გურამ დოჩანაშვილი და ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე), ორიც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე: ერთი ერთხანს საგარეო საქმეთა მინისტრიც გახდა (გოგი ხოშტარია). მეორე კი საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის მეუღლე (ჯანა კაშია), მეცნიერი და პუბლიცისტი გახლდათ.

სხვა მხრივაც გამორჩეული, განათლებული კურსი იყო, ზოგს მუსიკალური ტექნიკური ან ნიჭიერთა ათნედი ჰქონდა დამთავრებული და უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრშიც უკრავდნენ.

პიანისტებიც საკმაოდ გვყავდნენ, რომლებმაც საუნივერსიტეტო ოლიმპიადებზე არაერთხელ გამოიჩინეს თავი.

სუბივილების ანსამბლში მუსიკალური ინსტრუმენტებზე უკრავდა ბახშო იაგუთოვი, რომელმაც მოსკოვში ჩაიკოვსკის დარბაზში კონცერტის დროს სცენიდან დარბაზში დოლის აწევით მომესალმა.

სპორტსმენებიდან ჩვენს კურსზე იყო სახელოვანი დინამოელი, მეკარე სერგო კოტრიკაძე, რომელთანაც ერთად ფეხბურთი არაერთხელ მითამაშია.

გურამ დოჩანაშვილის პირველი ნახვა და გაცნობაც კარგად მახსოვს. მაღალი და ძალიან გამხდარი იყო, ამიტომაც კურსზე „შიშშილა“ დაარქვეს.

საუნივერსიტეტო საგნების სწავლით თავს აშკარად არ იკლავდა. როგორც თვითონ ხუმრობდა „მატები“ (დიამატი, ისტმატი, პარტიის ისტორია, პოლიტიკონომია) არ აინტერესებდა. გამოცდებზე ნიშნებს უფრო სიმფონიურ ორკესტრში დაკვრის გამო უნერდნენ. თავისი წრე ჰყავდა, რომელშიაც თავისი სკოლედი მეგობრებთან ერთად უნივერსიტეტში ახლად შექმნილი მეგობრებზეც შევიდნენ. უნივერსიტეტში მოსვლამდე მათ უკვე გახმაურებული ბიოგრაფიები ჰქონდათ, ნასამართლევი იყვნენ, ისინი ხომ დისიდენტურ მოძრაობაში სკოლის ასაკიდან ჩაერთვნენ...

გურამ დოჩანაშვილის ყველასათვის ცნობილ რომანებსა და მოთხრობებზე საუბრით თავს არ შეგანწყენთ, მე უფრო მის შედარებით ნაკლებად გახმაურებულ, 659 გვერდიან ავტობიოგრაფიულ რომანზე: „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“ მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა, რომელიც

2010 წელს დაიბეჭდა, რადგან მასში, სხვა ამბებთან ერთად ჩვენი კურსის ცხოვრება და იქ მომხდარი თავგადასავლებიც არის აღწერილი.

არის მეორე, ბევრად პატარა წიგნი, რომელსაც „გივი“ ჰქვია, რომელშიაც, ასევე, ჩვენივე კურსელის - გივი დვალის ცხოვრება და მისი ტრაგიკული აღსასრულია აღწერილი. იგი მდინარე ვერეს მოდიდებას და მთიდან მოწყვეტილ მენყერს ემსხვერპლა ზოოპარკის ტერიტორიაზე.

ორივე ეს წიგნი თავისებური და საინტერესოა. მხოლოდ ესაა, რომ გურამმა იმ დროს ერთგვარი ენობრივი ექსპერიმენტები წამოიწყო. თავისი ნათელი და გასაგები სტილი რატომღაც შეცვალა და მკითხველს საქმე აშკარად გაურთულა.

მინდა მოვიტანო ამონარიდი ამ ვრცელი ავტობიოგრაფიული წიგნიდან, სადაც იგი ლამაზად იგონებს მომავალ მეუღლესთან - ნათელასთან პირველ, ამაღელვებელ შეხვედრას. ეს ფრაგმენტი რომანის 126-127 გვერდებზეა მოთავსებული:

„... მაგრამ „ერთიც გოგონი“ დავინახე და მე ისედაც მე-იქნამდისინაც მე უთვალავჯერ მუდამ -ისე - შეყვარებულმა თავზარდაცემულივით - რომ იმით რომ მართლა მივხვდი რომ აახლაკი მართლა შეყვარებული, შეყვარებულდი- ვარ, ხოლოკი ისი ჩემი კურსელი და-ქალის, ქეთინო რამიშვილის ყოფილი მეზობელი, ახლა კი ახლობელი აღმოჩნდა და, ძალიან ვთხოვე ქეთინოს გამაცანი ეს-გოგო მეთქი და ქეთინო თუმცა კარგა ხანს არ მისრულებდა ხეგრანსა — შენისთანა გიჟ-გადარეულს როგორ გავაცნობ ამ წესიერ ბავშვსო და აბა რომელი შენისთანა სამოსან-ოროსნის საქმეა ფრიადოსნურად წარჩინებული პირველი კურსის სტუდენტიო მაგრამ ბოლო-ბოლო მაინც გავიცანი და ერთხანს გულმოდგინედ ვესალმე და მერე კი გავბედე-ძლივას და დიდის მორიდებით ვთხოვე დღეს უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტია და თუ შეიძლებოდა მომხიბლით-მეთქი და, იმდენად დიდად გაუკვირდა, რომ მკაფიოდ დაემჩნა ეს — სად ესა და სად ამისთანასაგან კლასიკური მუსიკის მოსმენაო — ასეთი შეხედულება გვექონდა გამოდამახარებელი ჩვენი დიდათე-თვალსაჩინო შეხერტყილობებისადა-გამო ჯონდოს (მეტრეველს), ზვიადს (გამსახურდიას), ვოვას (სიხარულიძეს) და მე — ვინც იმ 9 ბიჭიდან უნივერსიტეტში ვსწავლობდით და თან, ისეთი მეგობრები და ძმაკაცები და თანამესუფრეები შემოგვგვამატა?

არ იფიქროთ, რომ მე ამონარიდი არასწორად ამოვბეჭდე ან კორექტორული შეცდომები დავუშვი. წიგნი ზუსტად ასეა დაბეჭდილი. გურამი, როგორც ვთქვი, მაშინ ენობრივ ექსპერიმენტებს მიმართავდა და აქედან რა გამოვიდა თვითონ შეაფასეთ. მე კი ამ მშვენიერი, აზრიანი წიგნის განგებ დამახინჯებული სიტყვების და ფრაზების კითხვისას დავიტანჯე, ერთ ადგილს რამდენჯერმე ვუბრუნდებოდი, რათა გამეგოთ თუ რისი თქმა უნდოდა! ...

გურამის გარდაცვალების შემდეგ ერთხელ კიდევ გადავიკითხე ეს წიგნი და ჩვენი ახალგაზრდობის ამბები გავიხსენე. გული დამწყდა, რომ ჩვენმა ამქვეყნიურმა ცხოვრებამ ასე სწრაფად გაიბრინა და ასე სწრაფად დამთავრდა.

ეჰ, სხვებთან ერთად რამდენჯერ დამიჩვილია, თუ რატომღა ასე სწრაფი, ვერაგი და მოუხელთებელი ეს წუთისოფელი, რომელიც არაფერს არ გაცდის. კარგია რომ გურამმა თავისი სათქმელის თქმა მაინც მოასწრო და ლიტერატურაში თავისი კვალიც დატოვა.

ნათელში იყოს მისი მშფოთვარე სული! გასვენებაში ვერ წავედი. შეუძლოდ ვიყავი და მეორეც, მინდოდა მისი სახე ჩემს ცნობიერებაში ცოცხლად დარჩენილიყო, ისეთი, როგორც ის პირველად ვნახე უნივერსიტეტში: მაღალი, გამხდარი, სანდომიანი, ხუჭუჭა შავი თმებით და არა მიცვალებულის გვამი...

ბოდიშს ვუხდი მის მშვენიერ მეუღლეს და ქალიშვილს, ნამდვილად გულით ვარ მონანილე მათი (და არა მარტო მათი) დიდი მწუხარების!

თეიმურაზ ფანჯიკიძე



ავთანდილ ბუთხაშვილი - 85

სითხო ფშაური

საქართველოს მწერალთა კავშირი ულოცავს გამოჩენილ ქართველ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს და ქველმოქმედს ავთანდილ ბუთხაშვილს დაბადების 85 წლისთავს.

ბატონი ავთანდილი ჩვენთვის, თანამოკალმეებისთვის ნიჭიერების, კაცურკაცობის და სიკეთის სიმბოლოა. „დიდებას ეძებ, სიკეთე ჰქმენ“ - გრიგოლ ორბელიანის ეს სიტყვები გვაგონდება ავთანდილ ბუთხაშვილის ხსენებისას. „ქველმოქმედება კეთილშობილ გულთა წესია“ - ეს კი ნიჟამი განჯელის სიტყვებია. ავთანდილ ბუთხაშვილს კეთილი საქმე დიდებისთვის არ უკეთებია. მისი ყოველი დღე, ყოველი წამი მოყვასისადმი ზრუნვითაა სავსე. მისი კეთილშობილი გულის წესით აკეთა არაერთი მნიშვნელოვანი საქმე საქართველოდან შორს, პეტერბურგში მყოფმა. სწორედ საქართველოს სიყვარულმა, ქართული კულტურისადმი თავყვანისცემამ, ქართული პოეზიის მეფის შოთა რუსთაველისადმი უსაზღვრო მონივნებამ დაადგმევინა საკუთარი ხარჯებით პეტერბურგის ცენტრში შოთა რუსთაველის ძეგლი. ამ ძეგლთან ყოველწლიურად იკრიბებიან პოეზიის

თავყვანისცემლები და პატივს მიაგებენ შოთა რუსთაველის უკვდავ სახელს. სამშობლოს სიყვარულითაა სავსე ავთანდილ ბუთხაშვილის თითოეული ლექსის პნკარი, მისი ამღერებული ლექსები, რომლებიც სიამოვნებით ააყურებს მარცხ კვალისაშვილმა და ვაჟა ღურგლიშვილმა.

ეს ლექსიც იმის დასტურია, თუ როგორ ეთავყვანება იგი მონატრულ სამშობლოს.

მჯაზნიდა წვიმის მოსვლა ღვარებად, აზრს მიხლართავდა ელვა ტკაცუნით, მაკრთობდა მეხის დამუქარება, კლდეებთან ომში გულდაქანცულის.

ქარიშხალს ვმტრობდი მთებთან მხარდამხარ, ვარსკვლავთა წკრიალს ვუსმენდი ცაში, ლოდებს ვუხვევდი კისრებს დანახრავს, სამასი რაშის ტორების ტაშით.

გული ვაქციე მთების თილისმად, ვნატრობდი ღონეს ფხოველთ სარდლისა, ჩემი ძახილი ჰგავდა ჩვილის ხმას, თუმცა მეზურა მაღლი ჩარგლისა.

ბევრჯერ მამრუა ხეებში ნისლმა, დელგამაც მერჩოდა ჟინით ზვაურით, მე კი მივდევი ოცნების წინსვლას, უბით მიმქონდა სითხო ფშაური.

დღეგრძელობას და მზეგრძელობას ვუსურვებთ ბატონ ავთანდილ ბუთხაშვილს. მის სათაყვანებელ სამშობლოს კი - ბატონი ავთოსდარი „კაი ყმების“ სიმრავლეს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

თამარ ვარდოშვილი

ნათელი კვალი

ორსახელა ხარ, მაგრამ თამარი გშენის, თვალს გედევნებ და მემამაყება შენით, დიდი გული გაქვს, უფრო დიდი ხარ სულით, ფიქრობ ყველაზე, ცოცხლობ ყველაზე ზრუნვით.

ღმერთმა მოგმადლა სილამაზე და ნიჭი, გაჭირვებულთა გვერდში დადგომა იცი, სანთლად ანთიხარ, შუქს ფენ და არა ქრები. შრომაში გართულს ვერას გაკლებენ წლები.

ხარ კარგი დედა და ღირსეული ქალი ამრავლოს ქვეყნად ქალები შენი მსგავსი, ზეცამდე სწვდება შენი ლოცვა და მაღლი, ღმერთმა დაგლოცოს და დაგიფასოს ღვაწლი.

შენ გზას მისდევენ შენი გიორგი, ლექსო, თავს არ ზოგავენ ქვეყნად სიკეთე თესონ, ზურგს უმაგრებენ ქეთევანი და თეო, გზას უნათებენ ღამის მთვარე, დღე მზეო.

ფუფუნებისკენ არ გექაჩება თვალი, სულგრძელობაა შენი ფარი და ხმალი, შენთვის ვლოცულობ ყოველ დღით და ღამით, მაღალმა ღმერთმა არ მიგატოვოს წამით.

შენს პიროვნებას სრულად ვერ აღვწერ კალმით, გულუხვს, ქველმოქმედს თან გდევს ნათელი კვალი.

იაკობ პაპიაშვილის რომანები არაერთ ენაზე ითარგმნა. მისი სიუჟეტები მოქანავე გემით მოგზაურობას ჰგავს. მთხრობელი სხვადასხვა დროსა და ადგილს გადაკვეთს, და, ყველაფერს, რაზეც ის ყვება, მრავალფეროვანი და ამავე დროს, ძალიან განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ყველა დეტალს ერთობლიობაში უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭება.

არ დაგვავინყდეს, რომ ქართული კულტურა, ძვ. წ. XII საუკუნეში კავკასიაში, ქართლის და კოლხეთის სამეფოში, შავი ზღვის სანაპიროზე წარმოშობილი უძველესი კულტურაა. ვინც წაიკითხავს პაპიაშვილის თხზულებებს, იგრძნობს შორეული ისტორიის და მითის კვალს, რომლის მიხედვითაც იასონი ოქროს საწმისის მოსაძებნად გაემგზავრა.

იაკობ პაპიაშვილის შემოქმედებაში ძველ კულტურასთან დამაკავშირებელი ძაფების მოძიების ძლიერ სურვილს ვხედავთ. ავტორის აზრით შოთა რუსთაველმა "ვეფხისტყაოსანი"- ქართული ეროვნული ეპოსი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში XII საუკუნეში დაწერა. ამ დროიდან დღემდე მისი გავლენა ქართულ ლიტერატურაზე არ ნელდება ყველა გვერდს მიჰყვება.

უძველესი ნაწარმოები დავინწყებას არ მისცემია. მას შემდეგ, მისგან მრავალი თაობა საზრდოობდა და ცდილობდა თავისი კვალი დაეტოვებინა ქართულ და დასავლურ ლიტერატურაში (გგულისხმობ ცნობილი ქართველი მწერლის რევაზ მიშველადის წიგნს "იერუსალიმი - თბილისი", რომელიც რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" გვერდით დევს ისრაელის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, იერუსალიმში.)

პაპიაშვილი წარსულიდან გვიყურებს და გვაგრძნობინებს, რომ არსებობს ძველისა და ახლის შერწყმის საშუალება, რომელსაც ლიტერატურის მეშვეობით შეუძლია გამოგვიყვანოს ნაცრისფერი რუტინიდან მიმზიდველი სიუჟეტებით, რათა ყოფიერების საიდუმლო შევიგრძნოთ.

ბაღვაკმა თავის ნამუშევარს (137 ნაწარმოები - 91 დასრულებული და 46 დაუმთავრებელი) უწოდა "ადამიანური კომედია", XIV საუკუნის დასაწყისში იტალიურად დაწერილი დანტე ალიგიერის პოემის "ღვთაებრივი კომედიის" ანალოგიით. აღსანიშნავია, რომ სიტყვა "ღვთაებრივი" არ ეკუთვნის ალიგიერს, რადგან მან თავის შესანიშნავ ნაწარმოებს არისტოტელეს "პოეტიკის" შესაბამისად, უბრალოდ "კომედია" უწოდა. „ღვთაებრივად“ იგი პირველად ჯოვანი ბოკაჩომ მოიხსენია.

იაკობ პაპიაშვილის წიგნების გალერეა გვიქმნის ისტორიასა და კაცობრიობასთან დაკავშირებულ საგას, სიტუაციების და შეხედულებების კომედიას.

ექვყარეშეა, რომ იაკობ პაპიაშვილის შემოქმედება - პროზა, პოეზია, ჟურნალისტიკა, თარგმანები, სამეცნიერო შრომები - რეალისტურია და მას არ შეიძლება ეწოდოს არც „კომედია“ და არც „ღვთაებრივი კომედია“, მაგრამ განათლებული ადამიანი, რომელიც კაცობრიობის ისტორიისადმი გულგრილი არ არის, მიხვდება, რომ იაკობ პაპიაშვილის რომანი "გაგრა" უფრო "კომედიაა", ვიდრე "ტრაგედია"!

უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი თავის ადგილზე განვალაგ-

ოთ, ვიდრე ყოველდღე ეცადო ვიღაცას უმტკიცებდე, რომ აფხაზეთი საქართველოა და არა რუსეთი!

ამ თვალსაზრისით, ისრაელელი მწერლის ეფრემ ბაუჰის მოსაზრება ძალიან საინტერესოა:

"იაკობ პაპიაშვილი არის ებრაელი მწერალი, რომელიც ქართულად წერს. თავისი სულის ფესვებით, ისევე როგორც იმ სიტყვების ფესვებით, რა ენაზეც წერს, მწერალი უკავშირდება მინას, სადაც იგი დაიბადა და ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა... და კიდევ. ყოველ შემთხვევაში, მე,

დღესასწაული ჭირის დროს (იაკობ პაპიაშვილის რომანის „გაგრა“ წინათქმა)

პირველად აქ წავიკითხე იმ ტრაგიკული ქარ-ცეცხლის შესახებ, რომელშიც ეს საოცრად ლამაზი მინა - საქართველო მოექცა. და "ორი სურათი" სინამდვილეში ატარებს ტკივილს, არასტაბილურობას და შფოთვის ჩვენი სამყაროს მომავლისთვის, რომელიც მესამე ათასწლეულის ზღურბლზეა". (1998 წელი).

ზოგჯერ ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, რომ ყველაზე საოცარი ქარიშხლები სწორედ იმ ადგილას ხდება, რომელიც მშვიდი და წყნარი ჩანს.

იაკობ პაპიაშვილი საოცარ და თავზარდამცემ სიუჟეტს ქსოვს; შეიტყორა ეპოქის ყველა საიდუმლო, როგორც გამოცდილი რეჟისორი, ახერხებს ძველი სამყაროს ხელახლა შექმნას.

მართალია, მას შემდეგ ათობით წელი გავიდა, და ჩვენ მაინც ვსაუბრობთ იმ ისტორიაზე, რომელიც მაღალ საზოგადოებასთან ახლოს, ქართულ კოლექტივში ხდება. სიმშვიდის მიღმა ცვალებადი ქარიშხალია: მთხრობელი ახერხებს თავბრუდამხვევ სიუჟეტში შეგვიყვანოს - და ეს ყველაფერი ხდება გამყინავი სულისკვეთებით. ზღაპრული საკურორტო ზონის ცენტრიდან მოულოდნელობის ნაკადი იჭრება. ავტორის ნიჭი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ აშუქებს ისტორიულ და მსოფლიო მნიშვნელობის სიუჟეტს: პაპიაშვილი ოსტატურად იყენებს თანამედროვე მთხრობელების ტექნიკას, რომლებმაც იციან როგორ დააკავშირონ რამდენიმე შინაგანი სიუჟეტი. ფურცელ-ფურცელ სიუჟეტი იხსნება და ძირითადი აზრი ნელ-ნელა იკვეთება. პერსონაჟთა ქცევასა და მოვლენებს შორის აღმოვაჩინოთ ეპოქის და ადგილის ისტორიას, ჩვენთვის უცნობი ადამიანების განწყობებს. და ეს ყველაფერი ამალელებელია. ცოტას თუ შეუძლია ამ მომხიბლავი კულტურული სამყაროს პერსონაჟების განსაკუთრებული ხიბლის გამოვლენა.

მაგალითად, ორი პერსონაჟის შეხვედრა, ნაწყვეტი ერთ-ერთი ქალი პერსონაჟის სიტყვებიდან - და შემდეგ, კითხვას პასუხი მოჰყვება, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ეს დიალოგები მხოლოდ გვინტრიგებს სიმართლის გარკვევის მოლოდინში.

აი რას ამბობს ეს პერსონაჟი: "არა, გულწრფელად გითხრათ, გულთან არაფრის მიტანა არ ღირს. ჩვენთვის ღმერთისგან მონიჭებული სულ რამდენიმე დღეა."

მაშინვე ჩნდება ბუნებრივი კითხვა: „მაშ, რა მოხდა სანაპიროზე? - ჰკითხავიქტორმა“ ...

და ნახეთ, როგორ მიგვიყვანს პასუხი საიდუმლოებებთან, რომლებიც შემდეგში გამოვლინდება:

"ხომ ვამბობდი, რომ ეს საშინელებაა. რაღაც წარმოუდგენელი. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მოგველანდა, მოგვეჩვენა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჩემი თვალთ ვნახე".

იაკობ პაპიაშვილი რაღაც გზებით ახერხებს სიუჟეტის აგებას, რომელიც პარალელს ქმნის სუპერ გმირების

მდიდრულ სამყაროსა და წარსულიდან გადმოსულ განსაკუთრებულ პერსონაჟებს შორის. ეს მართლაც ამალელებელი განცდებია: ჩვენ აღფრთოვანებული ვართ პერსონაჟებთან საინტერესო შეხვედრით, რომლებიც მითოლოგიური ფიგურები არიან, ხელოვნების სამყაროს შთაგონების წყარო.

არსებობენ თუ არა ასეთი პერსონაჟები, შეძლებენ თუ არა გავლენის მოხდენას, თუ უკვლავ გაქრებიან?

შეეცადეთ გამოიცნოთ შემდეგი დიალოგის უკან რა იმალება:

"ქალი-დედა, ზღაპრიდან გადმოსული მზეთუნახავი. უსასრულოა მისი დედობრივი სიყვარული! ბევრი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ პოეტური სახეა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. რომ იგი დიდი ხნის გამქრალია და XX - XXI საუკუნეებს შემორჩა როგორც მშვენიერი ლეგენდა, როგორც ხელოვნების უნიკალური შედეგი, როგორც მხატვრული სიტყვის უკვდავი ნიმუში."

ასე რომ, ჩვენ სიუჟეტში იდუმალი გზებით მივყვებით იმ საიდუმლო კარებს, რომელთა მიღმა დეტალები იმალება და ლეგენდა თანდათანობით რეალობად იქცევა. დიახ, ეს ყველაფერი გაირკვევა სიუჟეტის გაგრძელებისას. იაკობ პაპიაშვილმა იცის რა იმალება კარის მეორე მხარეს, ყოველთვის ახალი სიურპრიზის მოლოდინში ამყოფებს მკითხველს.

დიდი და ტრაგედიებით სავსეა საქართველოს ისტორია. აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კუთხეა. ქართული ტომები: აფხაზები, მეგრელები, კახელები და სხვები XII-XIII საუკუნეებში, ისევე როგორც ადრეულ ხანაში (VII-VIII საუკუნეები), არაბ-თათარ-მონღოლთა შემოსევების დროს, მათ წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ. ეს ის დროა, როდესაც რუსული ენა ჩამოყალიბების პროცესში იყო, ხოლო საქართველოში შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოებები უკვე იწერებოდა. ერთ-ერთი მათგანია მსოფლიოში ცნობილი "ვეფხისტყაოსანი".

პაპიაშვილის პროზის, ამ შემთხვევაში რომანის ლიტერატურული სახე ეხმიანება იმ ნაწარმოებებს, რომლებმაც სამყაროს იერსახე შეცვალა. ჰუმანიზმის, თავისუფალი აზროვნების, ასკეტური ცხოვრების უარყოფის იდეით, რელიგიისა და ზნეობის საფუძვლების შერყევით, მშვენიერმა მთხრობელმა, ჯოვანი ბოკაჩომ, "დეკამერონში", ნოველიდან ნოველამდე, ეგზოტიკურ ყვავილებსა და ხეხილთა შორის, მოახ-

ერხა დაეხატა ათდღიანი "დღესასწაული ჭირის დროს" ანუ „ვენებათა დღევა (გატაცება) სიკვდილის პირას".

რომანში "გაგრა" არის კვალი სულიერი გავლენისა და განცდებისა, რაც ადამიანური გრძნობების გათვითცნობიერების საშუალებას იძლევა და ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე.

იაკობ პაპიაშვილი კარგად ახერხებს ურთიერთსაინააღმდეგო სიტუაციების მოფიქრებას: მშვიდობიან დროს, ადამიანები ცხოვრების სხვადასხვა მოულოდნელობებით ერთობიან. ხილულ სიმშვიდეს შინაგანი ბრძოლა ელოდება. რომანი ასახავს აფხაზეთის, შავი ზღვის კურორტის საოცარ სილამაზეს: იხსნება საბჭოთა საზოგადოების ადათ-წესების მრავალფეროვანი პანორამა, იმ საზოგადოების, რომელიც საბჭოთა ზნეობის სულისკვეთებითაა აღზრდილი ... ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ უცებ ჩამოხნელდა, ცუდი დრო დადგა („პერესტროიკა“). მოვლენების საშუალებით ეპოქის საიდუმლოებები ვლინდება.

ამ კომპარის გამო, ორი სურათი სასტუმრო "გაგრიფის" ცხოვრებიდან ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, ანუ იყო მშვიდობა - და მოულოდნელად მოხდა ომი, საშინელი და დაუნდობელი...

სიუჟეტი აშკარას ხდის სოციალურ კრიზისს, ეთიკური კოდექსებისთვის ბრძოლას, ცრურწმენებს. ნაწარმოები ეპოქის განწყობის გამოხატვის და სულიერი ტენდენციების ამოკითხვის, ამოცნობის საშუალება ხდება: ნაწარმოების ფინალში, სიკვდილის ზღურბლზე მდგომი არსენ აფხაზავა შემდეგი სიტყვებით ამართლებს ქალს, რომელმაც ქმარი მოატყუა: "როგორ შეიძლება ამის თქმა?" - თქვა მან. - რა შუაშია რუსია თუ ქართველი?" ალბათ გსმენიათ ასეთი იტალიური გამონათქვამი - "ყველა ქალი მეძავია, მაგრამ დედაჩემი - წმინდანია!" ზოგადად, ნებისმიერმა ქალმა ცხოვრებაში თავის დანიშნულება შესანიშნავად იცის - ოჯახის შექმნა და ბავშვების აღზრდა. მე აქ შეგნებულად არ ვამბობ "შვილების გაზრდას", რადგან ამ ცნებებს შორის არსებითი განსხვავებაა. ქალი ხომ კაცისგან ითხოვს არა მხოლოდ ბავშვის გაჩენაში თანამონაწილეობას, არამედ ცხოვრების გამარტივებას და თუ ოჯახში ეს პრობლემა არ გვარდება, ქალი მუდამ ეძებს ხვრელებს, მოვალეობების შესრულების მარტივ გზებს."

მკითხველებს გარანტირებული აქვთ განსაკუთრებული განცდები, ამ ისტორიაში გასაღები ბევრჯერ გადატრიალდება, მხოლოდ იმისთვის, რომ თითოეული გაღებულ კარის წინ შევიგრძნოთ რომ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. წიგნს მოვლენათა მორევში გადავყავართ: ისტორია, ემოციები და აზრები - ეს ყველაფერი სიუჟეტს კვანძავს. ეს ყველაფერი მკითხველთა განცდებს ამძაფრებს. მართლაც, ამ შესანიშნავი ისტორიით სიამოვნება გარანტირებულია.

ჰერცელ ჰაკაკი, ებრაულენოვანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი, პუბლიცისტი

ებრაულიდან რუსულ ენაზე თარგმნა იაკობ პაპიაშვილმა ქართული თარგმანი ეკუთვნის ია გორგიძელს

გულისა ჩხაიძე

აოჯია და ლოცვა

პოეზია და ლოცვა — ჩემი თავშესაფარი, მყუდრო, ვით ფოთოლცვენა, ვით ძველი ეზო-კარი; მყუდროა, როგორც თოვა, ლუმელი... მთის ზამთარი — შენ ფუსფუსებდე ცეცხლთან, შეშას გიჩეხდეს ქმარი... აჰა, ტაძარი სულის — ლოცვა და პოეზია, სპეტაკი, მშვენიერი, ვით თეთრი ჰორტენზია.

უგაული

ისევ უშგული და ისევ შხარა, აგვისტოს ბოლო და მზე თაკარა... კუშტად მზირალი ხნიერი ქალი, ნითელ სამოსში, კოშკთან მიმჯდარა. სვანები თივას აბინავებენ, რადგან ზამთარი კარზე მომდგარა. აქ შემოდგომა ხანმოკლე იცის, უშგულს დატორავს მალე ზამთარი... —მიშგუ ლადელ სი! — უცნობი ქალი სვანს ესალმება. —ხოჩამდ უხარი! — ემშვიდობება. —მუშვან, გამრავლდი, უფრო

გალაღდი,

მუშვან, იხარე! ენგურის ძალა მოგცეს გამჩენმა და ლამარიამ, შენმა მფარველმა! თავბრუდამხვევი დგას თივის სუნი, უშგულის მზეა, მწველი, თაკარა, და ოთხი ძროხა, ჭრელი, ლამაზი, ფერადი კოშკის ჩრდილს შეეფარა. სვანი ბავშვები — ცის ნაპერწკლები, მზისფერთმიანი და თვალმახარა — მორცხვად დამდგარან და დედის კალთას ეფარებიან, ვით ღრუბლებს შხარა. ისევ სვანეთი, ისევ კოშკები, ისევ ლურჯი ცა და მზე თაკარა...

მთაში ერთი სოფელია

“ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ” (მუხრან მაჭავარიანი).

მთაში ერთი სოფელია, ბარის ახლოს და იქ, იქ რომ კაცი სახლობს, ის კაცია ერთადერთი... მე თბილისს ვერ გავყვარე, ის იქ სახლობს სახლეულით... სხვისთვის დიდი არაფერი, სოფელია უფერული... ზარმაცად რომ გათენდება დილა, ჯანლში გახვეული,

დგება კაცი, შეშას დაჩეხს, ლუმელში ცეცხლს გააჩაღებს... მყუდროდ ცხოვრობს სახლეული... და ის კაცი, იქ რომ სახლობს, ის, ის არის ერთადერთი...

ედელვაისი

მე შენ მოგიძღვენ ედელვაისი და არა ბარის ვარდი მაისის... მე შენ დაგიგე თბილი თოვლის ფიფქა ნაბადი, ცა, ვარსკვლავებით ამოქარგული, საბნად დაგზურე — ძირს ჩამოვკიდე, ღამე იყო სასწაული, სავსემთვარული... და სასთუმლადაც მთვარე დაგიდე... ჩამოგიჯექ და თეთრად გითიე... უხმოდ გითხარი, რაიც გულში ვერ დავიტიე. შენ ვერ გაიგე... მე რე დამადგა თავზე აისი, მე დაგიტოვე ედელვაისი და კარი ფრთხილად გამოვიხურე.

სიზმარი

(ეს ის არ არის, რაც დედის სიყვარულს და მონატრებას ეკადრება. ჩემს ძალას აღემატება, გამოვთქვა, რა იყო და რა არის ჩემთვის დედა. მაინც დავდე. არავის ვაწონებ თავს).

ჭიშკართან ვდგევარ... ო, როგორ ბნელა! -დედა, წვიმაა კოკისპირული. -სახლში ხარ, დედა?- გეძახი მე და შეშინებულიც, გახარებულიც ფართქალებს გული... სახლის წიაღში იმედივით სანთელი ბუუტავს, შენი ხმა ისმის შორით... ძვირ-ძვირად. ბნელი სიჩუმე ჩანოლილა ჩვენს ეზო-კარში, ყოველ კუნჭულში, ყოველ ხის ძირას. სახლის წიაღში იმედივით სანთელი ბუუტავს და წყვიდადს ებრძვის სუსტი ხელებით. არ გადაიღებს ჯერ, ალბათ, დიდხანს და გახელებით მშოლტავს და მწკეპლავს ცივი წკეპლები. -სახლში ხარ, დედა?- გეძახით მე და ჩემი ცრემლები...

პაატა სურმანიძე

SUB ROSA (პარლის ძველ)

მაისმა გამოსცა დეკრეტი, ფრან-გული ზეცამდე აგვიშვებს. ფარდებით დაფარეთ სეკრეტი, რომელიც ითქმება ვარდის ქვეშ.

ფეხები სამკუთხა მაგიდის, სიარულს იწყებენ ვარდისკენ, სურნელი უგიდოდ დაგიდის, მაქეზებ ვარდებში ვარდისკენ.

ამურში ვარდებით ვვარდებით, მიყვებით დინებას მდინარის. პარნასზე პოეტი ვარ დების, ეს მუზა იცანით, ვინ არის..

მითხარი მესიზმრე პუჩინ რად? ორ სახით აფასებს დაფა რვას. გედს გიდაგამ, ოპერას უჩინრად, ნიღბებით რომ ვცდილობთ დაფარვას.

შენიშვნა-რომაელები ვარდს კიდებდნენ ჭერში, მაგიდის თავზე, და რაც ვარდის ქვეშ ითქმებოდა, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ასე რომ ვარდი საიდუმლოს სიმბოლოცაა

ჩვენი აღმდგენი!

ომეგა არა უაღფო. ქრისტე ხარ ქვეყნის დამდგენი. გთხოვ, გადმოგვხედე უფალო და აღსდექ, ჩვენი აღმდგენი! არტოსმა ტანჯვით მაცხო რვად... ვერ ვხედავ, მე სხვა მაცხოვრებს! ხატაპურს ვიღებ მაცხოვრად, სიკვდილის შემდეგ მაცხოვრებს! უფლება არ გვაქვს განდგომის, ვერ ვხედავ, ახლა სალად გენს. გადმოვა მადლი აღდგომის, ჩვენს ხორცში სულელებს აღადგენს.

აპულის ციხე

შენს ნანგრევებზე დგას მოხუცი ხე, ანდრეებს ჰყვება ბრძოლის ფაბულით, რომ ალგეთის მგელს მოუხმობ ციხე, არაბულ ცხენით სულგანაბული. დღეს მთვარის ციკლმა იკლო პიკეტით, დარანს ნისკარტით ჰორი კორტინიდა. მთაზე დგას ქვების ციკლოპი კეტით, რომ მტრები მოჩანს ჰორიზონტიდან. თოვს, ტანჯვის ფარა, მეფარა ვნებით, ვნახოთ რა ხეირს მყარის აბული. თვალეები მძირავს, მე ფარავნების, რომელი ქალიც არის ყაბული. ისარი გულის გასაღებია, ცისფერ წიგნს შევკრავთ (ყდებად) მთოველ თვის. ამურის მშვილდით ასაღებია- -ციხე- გულიდან ტყდება ყოველთვის.

იშყი მაჯაზი!

შენს ხელისგულში ჩემი მაჯა ზის, მენამულ წუთებს მითვლი მონამე. გიკვდები, როგორც იშყი მაჯაზი, ამ წუთისოფლის წმინდა მონამე. ასე კვდებიან სინმინდის ძენი, მათ საფლავებთან პანა შვიდია. მწუხრს უტოლდება ბინდის სიგრძენი, ალაპი- მშვიდი პანაშვიდია. ეგ თმები მომკლავს, მე კარე ნინა, წვიმამ დახეთქა პატარა ბლები, რომ არ მიკარებ, მე კარენინა, გადამივლიან მატარებლები. სულს რომ თავისი გაატანინოს, ჩვენი თვალეების პლატო ნურდება, ამ თვითმკლელობით პაატა ნინოს- უკვდავი ტრფობა პლატონურდება.

ბალა კონცერტი

მესმის რადიოდან მეტალიკა, მე , კი მირჩენია ნაზარეთი. რომ გულს ტყვიისფერი მეტალი კლავს, ვიცი ვერ მიშველის ლაზარეთი. რადგან გემოვნებას არ დავობენ, ხშირად ჩართული მაქვს მორიკონე. ახლა სიყვარულზე ლადავობენ, ერთხელ ლექსებში რომ მოვიგონე. ლექსით სინატრასფრად გავაჯაზე... ღამე არ მაძინებს ელვის პრესლი. ქუხს და ამინდიც ვერ გავანაზე, მომხვდა საგულზე ელვის გესლი. მესმის , მე მოცარტის - რეკვიემი! ამტრევთ შავ გიტარებს ბიგ ბენდები. შავ ზარს რეკვიტ სუნთქვა ეკვრის ჩემით. რომ დრო ატირდება ბიგ-ბენებით. მორგში ოთხი ფიცრით მორი კონეს, შავმა ყვავილებმა მომიგო ნებს. ფირზე საუნდრეკი მორიკონეს, ვიცი ბევრი ასე მომიგონებს

ისიდა საბურველით

გაცოცხლდა მკვდარი ზონა ისიდა, იქროლონ ქვიშის აჰა, რაშებმა, შენი თვალეების ოაზისიდან, ცდილობს სიკვდილთან საპარა შებმას. ჩამავალი მზე სადაისიდან, ქრება ლოტოსით და ქარავნებით. ნუ მიმატოვებ , სადა ისიდა, რომ ძლიერ მტანჯავს საქარა ვნებით. და როცა ქვიშა ანილოსდება, განმეორებით ანუ ბისიდან, როდესაც სილით ტანი ლოსდება, სიკვდილი ყმუის ანუბისიდან. და მოლოდინით მშვიდი როდი ვარ, ეს არის ტანჯვა მეგა ისიდა, რომ ერთმანეთთან მივდიმოდვივართ, შენ წარსულიდან- მე გაისიდან. უდაბნო ვრცელი საბურ-ველია, სილა შენ სახის საბურველია და მოგიკვდები როდის ისიდა?! თუ სხვასთან წახვალ ოსირისიდან.

მზიური აფციური

საქართველოს ბედის თანამდევია მის შვილთა კოსმიურად მოაზროვნე გონი: პოეტ-მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა და გმირთა, სამშობლოს სიყვარულისთვის მტლად დადებულ ხალხთა, რომლებიც ბაბილონის კედელივით აშენებენ დიდების კვარცხლებს კოსმიურ მადლთან მისაღწევად, მაგრამ რაღაცა ძალა დროდადრო გზას უღობავს მათ, რამეთუ აფროდიტებს: დაიცვან სინმინდე, ღვთივმიმადლებული გმირობის უკვადსაყოფად...

გასაოცარია ღვთივქმნილთა გონი - ეს ბუნებრივი ექსპერიმენტი, რომელიც მოულოდნელ ტიტანურ ენერჯის ნარმოშობს კაცობრიობის გადასარჩენად და ღვთაებრივი სულის შესანარჩუნებლად უკიდევანო კოსმიურ სამყაროში.

ჩემს მწუხარე განცდათა სამყაროში ჩაფლული 2021 წლის 25 იანვარს ვენვიე მხატვარ რეზო ადამიას მის სახელსწილი. კარგა ხნის ძებნის შემდეგ მივაკვლიე ქუჩის პირას ვინრო რკინის სარკიდან ფანჯარადაგმანულ ოთახს კოლოლაკზე. შესასვლელთან ქალბატონი დაგვხვდა და შეგვიპატიჟა. პირველ რიგში თვალში მეცა ღარიბული სივინროვე და გამახსენდა საქართველოს სიამაყე ნ.ფიროსმანი და თუ მადლი არსებობს ამ ქვეყანაზე ხელოვანი ასეთ სიღარიბეში უნდა ცხოვრობდეს? - არ გვაქვს დაფასება კულტურის შემოქმედთ ჩვენს ქვეყანაში...

ვინრო ნმ ოთახი სავსე, გამოჭედილი იყო მხატვრის ნამუშევრებით. ირგვლივ შემოჯარულ სურათებს თვალი შევავლე და თავი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში, რეზო ადამიას რომანის „მზის“ პრეზენტაციაზე მეგონა თავის გულწრფელ შემფასებლეთან ერთად. საღამო ხომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ნობელის პრემიის ნომინანტს, ბატონ რევაზ მიშველაძეს მიჰყავდა და აღარ მიკვირს მისგან ასეთი მაღალიდებული მხატვრული ღირსებებით შემკული აღიარება.

თვალისადა არ გადამიდოდა რეზო ადამიას მშობლიურ სოფელში მამა-პაპური სახლის პეიზაჟები წელიწადის ყოველ დროისთვის მზის სენსაციურ ნათებებში ამეტყველებული, ეზოში აშოლტილი ხეებით და ბუნების საოცარი მორთულობით, მხატვრის „მზის“ ტილოს რომ დაემშვენებინა... თითქმის დამავეწყდა რისთვის ვიყავი მისული. შთაბეჭდილებებში ჩაძირულს მხატვრის ხმა მომესმა:

- როგორ ბრძანდებით, ქალბატონო მზიური?

მრავალწარმოსახვათა ბურანიდან გამორკვეულს მუშტი შემახვედრა მისასალმებლად. - რას ვიზამთ, პანდემია მეფობს 21-ე საუკუნის ოციან წლებში.

- ჩემი წიგნების თაობაზე გეახელით, ბატონო რეზო! - შევაგებე გაუბედავად და წიგნები გავუწოდე.

- ყოჩაღ, სამი წიგნია: „როცა სიცოცხლე ხარკს ითხოვს“ (ლექსების კრებული), „დროთა მსხვერპლი“ (ფსიქო-ფილოსოფიური პოემა), „იამთუხაზი“ (სოხუმის ალბა) ეძღვნება ჩემს შვილს - ვასილ აფციურს. გადაიკითხა და დანანებით აღმოხდა:

- ნათელში გამყოფოთ უფალმა, ტანჯული საქართველოს შვილებო!

- 1993 წლის სექტემბრის დღეებში, სოხუმის დასაცავად თბილისიდან და არა მარტო თბილისიდან, მთლად საქართველოდან, პატრიოტი ახალგაზრდე-

ბი, რომლებიც გმირულად დაეცნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში, დიდებისა და გმირობის ღირსნი არიან!

მხატვარმა დაკვირვებით შემომხედა...

- ამ წიგნებზე პასუხი მარტის თვეში მექნებაო, გვერდზე გადაწყვი და თავისი წიგნი „დაუოკებელი სულბობოქრობა მერანი“ გადმოილო თაროდან და მითხრა: - წიგნებს ყველას არ ვჩუქნი, თქვენ დაიმსახურეთო. - ალტაცება ვერ დავმალე. მადლობა გადავუხადე. თვალი კვლავ მისი თაროებისაკენ გამიბოდა. ნახატებს შორის უხვად ენყო წიგნები. ის ხომ მხატვრობასთან ერთად ქართულ მწერლობასაც ამდიდრებდა.

ესაი კოსმიურ მარბალიტზე

ჩემთვის ეს არ იყო გასაკვირი. მიკვირდა მხოლოდ ის, როგორ ახერხებდა ეს მცხოვანი კაცი ამდენს.

წიგნები ისევეა, როგორც ქარ-ცეცხლში ანაგები, თუ გამოვლილი ტაძრები, ომის დროს საბრძოლო იარაღია, მშვიდობის დროს კი ჩანგი, სულს რომ წვრთნის საუცხოოდ...

შავყდიანმა 59 გვერდიანმა, მერანის, პირამიდის მსგავსმა თეთრთავ-გამოსახულებიანმა წიგნმა, რომელსაც გარეკანის მე-4 გვერდზე მაცხოვრის საფლავის კლდეში ნაკვეთი დიდლოდიანი შესასვლელი, ასევე ემოციურ განწყობილებას გვიქმნის წარწერით: „მერანი“, უდიდესი გოლგოთაგამოვლილი ჯვარია; მომავლის სიახლე, ცხოვრების აღმდგენელი, სრულიად საქართველოს კოლხურ-იბერიულისა, ალტაცებაში მომიყვანა და დამაფიქრა ერთხელ კიდევ თავისი სისადავით. ეტყობა მხატვარი ღვთისმოსავი კაცია: ყოველი ფურცლის თავში მარცხენა გვერდზე ანთებული სანთელი ფუნჯის მაგივრად და მარჯვენა გვერდზე ჯვარი ამშვენებს წიგნს.

თავისი აზრი არ დაუშურებიათ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილებს და შემოქმედ ადამიანებს: სახალხო მწერალს, ბატონ რევაზ მიშველაძეს. 1. „რა არ წამიკითხავს, მერანიზე“, ვის არ უცდია მისი ადგილის გარკვევა მსოფლიო პოეზიის ანალებში, მაგრამ რეზო ადამიამ სულ სხვა კუთხით დაგვანახა ჩვენი თავმოსანონებელი ქმნილება“.

„ფვიქრობ „მერანის“ ავტორზე, - განაგრძობს რ. მიშველაძე - ის საუკუნის პოეტიკა“, „მისი პორტრეტი არ შემოგვრჩა“... „თითქმის ვერავინ გაუგო“, „თითქმის არავინ იცნობდაო“, და... „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო...“ - „ცუდად ჩაიარა კი არა „მერანი“ ბაირონის და შელის, ლერმონტოვისა და მიცკევიჩის გვერდით დააყენა ბარათაშვილი“.

„სიკვდილის წინ ანჩისხატის უბანს, თავის ტოლმეგობრებს, თავის გამწარებულ სიყმანვილეს ნატრობდა და ყველაზე მეტად მას, ვინაც მისი სიყვარული ვერ იგრძნო (ან მაშინ იგრძნო, როცა ყველაფერი დაგვიანებული იყო)“.

„ლექსების ერთი რვეული ეკატერინე ჭავჭავაძის რომ არ შეენახა და ილია ჭავჭავაძისთვის არ გადაეცა, იქნებ საერთოდ დაგვკარგოდა იგი, 26 წლის გრძნეული ბიჭი, გენიოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი.“

„იქუხა მიუწვდომლობის სიშორემ და ეკვეთა ქართულ ავბედით უკუნეთს. მერმე ქროლვით გაარღვია უკიდევანობის უმძაფრესი ენერჯია „მერანი“ და მსწრაფლმეუპოვრად შეიჭრა რეალობის მარადიულ ნათელში - წერს რეზო ადამია ამ ამალღებულ რომანისტიული სტილით დანერვილ ესსეში და ადამიანური სიხარულით აღნიშნავს რ. მიშველაძე და ამბობს: „ქართული ესსეის თაროზე დაიდო ჭეშმარიტად დიდი ხე-

ლოვანის მიერ შექმნილი, სწორედ რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ საკადრისი შეფასება...“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როინ მეტრეველი რეზო ადამიას „სულისკვეთებაგანწირულს“ უწოდებს, ამ ორიგინალური ესსეის გამო. „ეს ნარკვევი არ ჰგავს არც ერთ შეფასებას, რომელიც მერანის“ მიმართ გამოითქვა, სრულიად სხვა კუთხიდან, კოსმიური მიუწვდომლობიდან დანახული ქმნილებაა, მისი ავტორი უფრო მხატვარია...“

ეფემერული მერანი სიტყვებით გამოაქანდაკა და ცოცხალ შუქურ-

ვარსკვლავად აქცია - აღნიშნავს მწერალი, ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი.

მე განმაცვიფრა მხატვრისა და მწერლის რ. ადამიას მეცნიერული ფილოსოფიით განჭვრეტილმა „მერანი“ და მისმა კუბისტურმა გამომსახველობითმა ალლომ. ის თავისუფლება, რომელსაც ესწრაფვოდა და რომელიც დააკლდა ნ. ბარათაშვილის სულს რეალურ ყოფაში და რომელსაც ვერ წარმოიდგენდა კოსმიური სამყაროს იშვიათდღვად. ბატონმა რ. ადამიამ შეუფსო თავისი მხატვრული სულის ალლოთი და წარმოაჩინა თავის კოსმიური შეუღწვევლი მხატვრობით ირეალურ სამყაროში...

ნ. ბარათაშვილის „მერანი“ საუკუნეებმა გამოსცადეს, გაიზარეს და მხატვრულ სიტყვათა გენიალობით სწორედ რომ მხატვარ რ. ადამიას კოსმიურ გონად იქცა, რამეთუ: „დაუოკებელი სულბობოქრობა „მერანი“ - ყდის პირველ გვერდი - პირამიდის მსგავსი „მერანის“ თავის ქალის გამოსახულება (ჩემი შენიშვნა), როგორც ის ავტორმა. საოცარმა „მზის“ - კოსმიურ ლეგენდად წარმოქმნილმა რეზო ადამიამ სამყაროში ვარსკვლავთა შორის: გვ.7. სურ. 1. განუმეორებელი ელვარება „მერანის“ - მისი ზნეობრივ-იდუური თუ სულიერ-გონებრივი პლანეტარიუმის ფერწერის მხატვრული იდუმალება წარმოაჩინა და სამყარო ორად გაყო. - სურ.2. გვ.9. „სრულიად საქართველოს სული „მერანი“ (I ვარიანტი) და მერანის მიწიერი ლტოლვა კოსმოსში, მისი სენსაციურობიდან გამომდინარე, უზომოდ, მაგრამ გადაუჭარბებლად ქართველთა (იბერთა) და კოლხთა ხილულ კოსმოსად ასახა ტილოზე, რომელსაც შეუსაბამა თავისი ხალხის - საქართველოს ერის უკიდევანო სამყაროს მზერაში ტილოები.“

ლექსის არამინიერი, კოსმიური, დაუოკებელი, მაგრამ იდუმალი წარმოსახვები დაუფარავად ათქმევინებს ნ. ბარათაშვილს:

„გასანი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი!“

და ამ მრავალფეროვან და ნიუანსურ ჩაუნვდომლობას და გამოაცხადებელი განცდებით აზრთმიწვდომლობას, კლასიკურ აზრ-ფორმათა ხმობას, მხატვარი რ. ადამია მიჰყავს განსხვავებულ გამწყობილებიანი მხატვარ მუნკის ღრმად ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კომპოზიციისკენ „კივილი“ (სურ.), რომელიც ბნელეთის სივრციდან მოტივიცივებს, მაგრამ მხატვრის ეს სურათი შესრულებულია ძალიან უბრალო ფერთა მონასმებით და ფერწერის ფარული და მარტივმეტყველი, უფრო ქვეცნობიერი ფორმათა გენით, წარმოუდგენელი მძაფრი ხასიათ-მოტივით სურათი შედეგადაა აღიარებული.

რ. ადამია არაჩვეულებრივი მხატვრულ-ემოციური ალტკინებით განიხილავს „მერანის“ კონსტრუქციულ რითმათწყობას: „დაუდგრომელი ზნეობრივი სიმტკიცე, აზროვნება, ვარსკვლავური ხედვა, ძალიან თავისებური და თავად ავტორის სხვა ნაწარმოებთაგანაც მკვეთრად განსხვავებული.“

ლექსში მთლიანი ურღვევ ფორმათა მონოლითური, ზნეობრივ-გონებრივი ჩამოსხმა, მკვირივი ქანდაკებურობა და ეგვიპტური პირამიდების, მოგანგაშე მზის ჩასვლისას მათივე ჩრდილებში შუქი ია-იას ფერის სილუეტური იდუმალტევადი გამოსახულებებივითაა, ანუ უდიდესი არქიტექტორის ფრანგი ლე-კარბუზიეს გენიალური ეკლესია - სასახლეთა თანამედროვე დამუხტულ ფორმათა გამოსახულებებს გვაგონებს.

რ. ადამიამ აღმოაჩინა რა „მერანის“ ქართულ-ენობრივი-ფსიქოლოგიური გმირი, განსაზღვრა რა მისი ხასიათი, რომ „მონობას ცოცხლად კი არა, მკვდარიც არა და ვერ შეეგუება“ და ამით ის დაუახლოვდა კი არა, პირდაპირ სულში ჩაუჯდა პოეტის „გარემოებისგან შეძრწუნებულ მარად მფეთქავ გმირულ გულს“: - „რამოდენიმე ათეულ წელს რომ ვიცხოვრო, შედეგ „მერანს“ ბოლომდე მე ვერ ჩაწვდები“, ამბობს მხატვარ-პროზაიკოსი - გონითი წვდომა სულიერ აწეწვასთან ერთად ასმაგად უმძიმებდა სიცოცხლეს და შემოქმედებით მოვლენებს პოეტს.

მიმაჩნია, რომ „მერანი“ წერტილდაუსმელი ფენომენია, თავისი სენსაციური, კოსმიური იდუმალებით და მხატვარი რ. ადამია მისი კოსმიურ იდუმალებათა გამაიდუალებელი თვით კუბისტური ფორმულირებით, თანამედროვე სამყაროსა და მომავალი სამყაროსათვის უფრო მეტად მისანვდომი, მაგრამ კვლავ ახლის აღმოჩენი, საინტერესო სტილით ქართულ მხატვრობაში უნდა ჩაითვალოს იდუმალ აზრთა გამომცნობ კლასიკურ საწყისად 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში.

თუ არ განიცადე ისე ვერ დანერ, თუ მტერს არ შეხვდი ისე ვერ იბრძოლებ, თუ მოყვარეს არ გაიცნობ, მტერს ვერ შეაფასებ და საქართველოს რა დაამარცხებს, როცა ისტორიული საგმირეთი წინ გვიდღვის და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გვირგვინად გვადაგას ომშიც და მშვიდობის დროსაც.

და აი, მეორე კოსმიური სიჭაბუკე საქართველოს დიდებისა, რომლის უკოსმიური გონის აღმოჩენას ვერ მოეწონნენ ბიჭები: - ჟიული მარტავა, ვასილ აფციური, არჩილ მიშველაძე, ვეფხია მათიაშვილი...

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება...“ („მერანი“)

ნამდვილად, ნამდვილად, არა თუ არ ჩაივლის ცუდად, არამედ გულნატკენ საქართველოს ბატონი რეზო მოუვლენს კვლავ ბევრ გულმემატკივარ კოსმიურ შემოქმედს, რომ ერმა, რომელმაც ქვეყნის დასაწყისიდან დღემდე უფალთან ერთად ყველა სამყაროს ქარტეხილი გამოიარა და დღეს მუხლმოდრეკილი სააღსარებოდ გამზადებული შესთხოვს უზენაესს საქართველოსთვის მადლიან მირონცხებას, მრავალწარმობიანი, დასასრული არ ექნება. ის გარდასულ სამყაროებთან ერთად არსებობდა თავისი ტკივილითა და დიდებით და იარსებებს მარადიულად.

ყველა პატრიოტისათვის „მერანი“ არის ლტოლვა სამშობლოს უწმინდესი მარადიული სიყვარულისა და თავისუფლებისა.

თავისუფლება იურიდიულად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა, რომელსაც საქართველო საუკუნეების მანძილზე ახორციელებდა და ახორციელებს ახლაც.

ელისო ქიტიაშვილი

(გაზეთის წინა ნომერში გაიპარა შეცდომა, ამ ლექსის ავტორის სახელი შეცდომით ეწერა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ავტორს)

არ გვინდა დარდი

გალვივდა განძის ანარეკლი და
ხმა კრწანისის,
დადგება დრო და ის კედელიც
დაილენება,
არ გვინდა დარდი, არცა ცრემლი
არანაირი
და დღესაც გვლოცავს ისევ ხელი,
კვართი მწე ბედად.
ახმიანდება ლექსი გულში
მსგავსად უფალის,
სიცოცხლე ჩქეფდეს და
ბოროტმა არსად უკადოს
და ზიარება შვენის სულს, ვით
ნავსაყუდარი,
ის ყოველს შეგვწევს მთლად
მყოფობას, მართლაც უნაკლოს.
აი, ასეთი საქართველო მიყვარს
და მომწონს,
არა გვამივით, ღირს არს ძალი
ზედიდებისა,
სად ინათლების, ლამპრად
მზეობს, წმიდადა მყოფობს,
სად ვარსკვლავით ბრწყინავს
კვალი თეზბიტელისა.
არ გვინდა დარდი, არცა ცრემლი
არანაირი
და მრწამსსაც ვენდოთ,
ამაღლებს სულთა ვედრება,
გაბრწყინდა მაღლი, მსგავსად
სვეტის აქ ცადაწვდილის
და საქართველო აყვავდება სულ
სხვა ედემად.

წინო უძილაური

სისხლის წინსკლეპი

სისხლის წინსკლეპი...
მიწა აქაც ბრძოლით ტანჯული,
ფეხქვეშ ბორგავს და ვერ ისვენებს
გმირთა საძვალე, ყაყაჩოები,
თან რამდენი, წითლად გაშლილი,
ყაყაჩოები დასტირიან მიწის სავანეს.
მდუმარე ზეცა, წითელ ფარდაგს
ცრემლებით კოცნის, სურნელი მიწის
სიამაყით მახსენებს წარსულს,
ბრძოლით დაღლილი გმირთა სისხლი
კოცონად იწვის, ყაყაჩოები
ლამაზ ზღაპრად არხევენ მათ სულს.

ლილი გოგებაშვილი

ჩემო მისხეთო!

ხელიდან ხელში გადადიოდი,
არ გასვენებდა მტერი მზაკვარი,
არაბმა, ლეკმა, ოსმალომ სისხლით,
შეღება ჩვენი ყრმათა აკვანნი.
შერკინებიან გადამთიელებს
თმოგვის, აწყურის და ვარდის ციხე,
ჭალის, ზანავის და ოქროს ციხეს
ედგათ მტერთაგან დრო მეტად მძიმე.
სადგერის ციხე, თორთუმის ციხე,
სლესის ციხეც და ხერთვის-ვარძიაც,
მტერს უხვდებოდნენ ხმაღმეშართულნი,
წინაპართ სისხლით განაბანია.
ჩემო მესხეთო, შენ გაუზარდე
სამშობლოს ჩვენსას თმოგველ-ჯაყელნი,
მათ გადამწყვეტი ბრძოლების უამსაც
არა სტოვებდა მტრის წილ გამჩენი.
სახელგანთქმული მოლაშქრეები -
შალვა და დავით ახალციხელნი,
მტერს ცოცხლად რომ არ ჩაბარებოდნენ
უფლის წინ ჰქონდათ დანაფიცები.
ჩემო მესხეთო, შენთვის იბრძოდნენ,
შვილები მტერთან მედგრად დამხვედრნი,
მთავარსარდალი სააკაძე და
მეფე ერეკლე, თორელ-მხარგრძელნი.
დიახ, გამშვენებს ციხე რაბათის,
გასახსენებლად წარსულის, მწარის,
კვლავაც შენდები, კვლავაც მშვენდები
დასაბრმავებლად მომხვედურის თვალის.
ალორძინდი და აყვავდი კვლავაც,
მუდამ გფარავდეს ღვთისმშობლის კალთა,
ო, მე არასდროს აღარ მენახოს
სამტროდ მოსული ვინმე შენს კართან.
ჩემო მესხეთო, თვალმარგალიტო,
წარსულში ქართველთ ხმალო და ფარო,
მტერთან ყოველთვის მტრულად
დამხვედრო,
შენი აღმა სვლით მეც შენთან ვხარობ.
მტრისგან მრავალჯერ აოხრებულო,
მოყვასთან მუდამ სუფრაგაშლილო,
გული საფრენად უკვე მზად არის,
რომ გიმზერ, ვარდო, ლამაზად შლილო.
შენ გაგიმარჯოს, ჩემო მესხეთო,
მოყვასის გულის გასახარადა,
ბევრი შექმნილა, კვლავაც შექმნათ,
შენზე სიმღერა, ლექსი, ბალადა.
ვინც სამშობლოსთვის თავი განირა,
დავანთოთ მათთვის წმიდა სანთელი,
წელი რამდენიც უნდა გავიდეს
გულში გვინთია მათი სახელი.

რაინმარ ფონ ცვეტერი

გამოიღვიძეთ, ქრისტიანებო!
დღე დგება!

გამოიღვიძეთ, ქრისტიანებო! დღე დგება!
მამალმა ორჯერ დაიყვილა,
მე მინდა სიმართლე გითხრათ:
დღე ახლოვდება, როდესაც
უფლის წინაშე ყველას მოეკითხება.
ის ყველას წყალობით გადმოგვხედავს,
რადგანაც ჩვენს გამო ამდენი ტკივილი
დაითმინა.
ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველთვის
მისი მადლიერნი უნდა ვიყოთ..
როდესაც ის ძალგულოვნად ტახტზე ზის -
გვაჩვენებს შუბს, ჯვარს, გვირგვინს,
ვერავინ ვერ გაუწევს წინააღმდეგობას.
მისი ძალაუფლება ქვეყნიერებაზეა:
თქვენ, ქრისტიანებო, გახსოვდეთ ეს
და მზად იყავით, რადგან მცირე დრო დარჩა!

თარგმნა გიორგი ვარამაშვილმა

ლალი ლაზაშვილი

მარიტა

ზეცამ გადისხნა საკინძე,
გრძნობას გახადა ფარჩა,
ქალს ტანზე შემოახვია,
რაც სილამაზედ დარჩა.
ზაფხულის ნიავს მოჰქონდა,
მთიდან საამო ღიღინი,
მინდორში პეპლებს ათრობდა
მარიტას თბილი ღიმილი.
მაგრამ ბავშვობას შემორჩა,
ის მოჩითული კაბა,
თმებში ჩანწული გვირილა
და სიყვარულის განცდა.
შორს მიდიოდა მარიტა,
ცრემლი სწყუროდა თვალებს,
თან მიათრევდა სიყვარულს
და გრძნობას ნაიარევს.
სოფლის წყევლა და აუგი,
თითქოს ართმევდა ძალას,
გათელილ გრძნობას ტიროდა
და არა ნასროლ ტალახს.
ზოგჯერ, ლამაზი ზღაპარიც
არა სრულდება ზღაპრად,
ხან საოცრებად მთავრდება,
ხან უჩვეულო ამბად.
...იქნებ, ოდესმე შემოგხვდეთ,
შორით შეავლოთ თვალი,
არ დაუძახოთ მარიტას
თავლაფდასხმული ქალი!

გელა ბუილიშვილი

იღვა ქალი

ქარიდან თმაგანანენი
მარტო იღვა ნაზი ქალი,
შარაგზაზე იღვა ქალი,
გზას დააჩნდა ნატერფალი.
რა თქმა უნდა, იქვე ქარი
თარეშობდა მძიმე ფიქრით,
არსად იყო სამართალი,
გაქრა ყველა ჩანაფიქრი.
ალვის ხეთა შემოსალტვა
იგონებდა პირველ ქარებს,
დღე კი ღამეს ეხვეწება:
„შემიყვარე“, „შემიყვარე!“
ცა ივსება ყვითელ ჭიქით,
ჩანს ხილული გალაქტიკა,
ფიქრი მიქრის იმის იქით,
უსაზღვროა ფანტასტიკა.
შარიშურით სალამს ამბობს
ხის პირველი გაღვიძება,
ცა არის, ვით სავსე ყანნი,
ვარსკვლავები ცაზე დნება.
უსაზღვროა ცის სილურჯე,
ვერსად ვპოვე უკეთესი,
გაქრა ღამე და გრძნობები
ატივტივდა ჩანათესი.
გაისისხლა ჭადრის წვერი,
ტყე აივსო განათებით,
საიდუმლოს მინახავენ
ჩემი სულის ბარათები.

გიორგი მელუა

გამოიღვიძეთ

დამჭკნარა ვარდის წითელი ბაგე,
ამომშრალია ლარნაკში წყალი
და ქალი, როგორც სარკეში სარკე,
წევს სავარძელში ცისფერი ქალი.
ცისფერი სიტყვით ცისფერი ბოლი
ასდის საფერფლეს, ლურჯდება ალი
და მგონი, როგორც ბულუღში გნოლი,
წევს სავარძელში ცისფერი ქალი.
სიზმრების ფურცელს ჩამოშლის
ხელით
(უბიდან ვნების იელვა ხალმა).
და ქალმა, თითქოს ამწვანდა ველი,
გამოიღვიძა სიზმრიდან ქალმა.

დალი კახიანი

ყოფის მატრფევი, ხაიამ ომარ!

ბედისწერის დიდო მსაჯულო
და ყოფის მეტრფევი,
შენ, დარდიმანდო, ბრძენო, არშიყო,
ხაიამ ომარ,
აღმოსავლური გრძნობიერებით
მწველი ღამისა,
ხომ უწყი თავად, შესცოდე ალაჰს,
გგონია ხომ არ,
კვლავ ალიონი ამოშხეფთდება იაგუნდ
ლალად,
არს უცვლელია ერთი რამისაც,
ზოგი მუშაკობს მთენი ღამისა,
ზოგი კი ისევ აგორებს ყომარს.
ნამწამს იწრდილავს ნაფაკლი ღანვი,
ტანკენარ სულელებს კვლავადაც ანვიმთ,
და ეტვიფრება გრძნობების ნამწვით.
აღმაფრენები გულს კვლავაც ალაღს,
ჰო, ისევ, ისევ,
გადაუქროლებს ჭალებს ციცარი,
მზეს კი არ ვყვედრი, მაგრამ ეს კია,
სხვაგვარ გენვოდა გულის ფიცარი,
ფიქრობდი განა, რას იტყვის ყადი,
მოგისჯის ხადისს?
ლალას უხდინდი მხოლოდ სიყვარულს,
იცოდი ყადრი,
ნამს შემოეველე დიადემურს,
მადლი ცისქვეშეთს, მადლით
დემიურგს,
იჯერე გული ხვაშიადებით,
თვალმარგალიტით ზღვაში ნადებით,
მკობილან შენი რობაიები.
შენ თუ ადიდე, ჩენილან ვარდათ ხომ
ბაიებიც,
თუ გული გულობს,
თვით სამყაროსაც იტევს სათითე.
სხვა მეტი რაღა?
რაღას ინატრებ აშულთა აღავ, რა
გითხრა სხვაღა,
მზეს კი არ ვყვედრი, ერთი ეს კია,
ხვდებიან რიჟრაჟს სხვაგვარ ძაბვითა,
ყვარობენ ისევ იმ სიმძაფრითა?
გგონია ხომ არ?
შენ, დარდიმანდო, ბრძენო არშიყო,
ხაიამ ომარ.

პარიზული არაბესკი

შალვა კარმელის და შალვა ქიქოძის
ხსოვნას

ნარმართულ ჟინით შემოეფარდა
როტონდას რონდოთ ქალთა მარაო
და თოვდა, ცრიდა
ფიფქის მარულა წარამარულად.
ასტრებს უძღვნიდნენ მანერულ ჟესტით
კაცები, წვართი ობელისკები.
ცეტი ფალცეტი ალტების სიმით
ასტრალს გაერჭო
და კონტრალტოებს გამოსდო კუდი.
შემოეგარსა მუსლინი სირმით
ნისლოვან ქულეებს,

კუბიდონები ისრებით ხელში
მსჭვალავდნენ გულეებს
და თოვდა, ცრიდა ალმაცერულად.
იღვენთებოდა ქალთა მარაო
თვალთა ცერულით.
ეისრა ჟამი სხეულს ცხელებით,
ორ მშვენი მაესტროს
კონვულსიებით,
ჭლექიან ვნების ამოხველებით
და ვალსირებით.
როტონდას რონდოთ ეწარამარა
ფიფქის მარულა,
შემოეფეთა ბოჰემას ტანგო
და შეაჟრჟოლა ნიაჟქარულად.

ქრისტანით, მაჰაალით, გუდათი

ღირს ყოფას ილახავნ,
ადიდებნ ღვთის გლახას,
ქრისტანენი,
ლოცვით უჯდომელ.
მტკიცობენ რვალითა,
გარდუხდელ ვალითა ქრისტესით,
მძღაერობენ მარხვითა, ჯვარითა
სალოსთა და ბერთა,
მღვიმეთა ბერთუბანს შორითა,
განა თუ დაბერდა,
განახლდა, გალაღდა მარადი შობითა,
დებული ამბიონს მარადისობითა.
იყავნ ნება ღვთის,
კურთხეულ გზათა დაფნად, სოსანად,
ამენ, ოსანა.

ელვა ცის ტილოს ფლეთს,
კლანჭს კლდის ქიმზე ილესავს,
კატასტროფებით ცა მისნობს ბედს,
ლაგურკას ხატს სდის მირონი იესოს.
სტროფებით გზას სალტავს ტმასნილი
ასფალტი,
მაჯა ნაკურკალს ისვრის ას ვოლტით,
წუხს სინაგოგა ნაჟურით მენორის,
ბახი ასტრალში იჭრება მინორით,
ურსულას თავშალი თქორავს
ჰამ-ორით,
რაფსოდის ღველფები ცისკრავს
მაჟორით,
ელფებით რხეული მამზევებს სულ ის ხე,
სული თარეშობს მიღმა სხეულის,
ვერ იხდენს ჩარჩოს, აიყრის არტახებს,
აკანკალეზულ ხელს შემოავლებს
გვემულ მინას და საყდრებს პარტახებს.
სავანის ალებს ქვიშა დაავანებს,
შაშრავს სამუმი გროტესკს და ფარსსაც,
სად წალკოტია, იქ ელიან პატივით.
ვერვინ მოიხელთებს ფრანგს პოლ
სარტრივით,
შემართულია ჩახმახი, მასრა,
გულს ხემი ეხება ნოტიო მარტივით,
მე ვაჟას ნუკრი მშვილდისრით მბასრავს,
კლდის ქიმზე ელვა კლანჭს როს ილესავს.
ლაგურკას ხატს სდის მირონი იესოს.

სიაჰაყის ერთი კაზლიც

არც ერთ ქართველ ტომს, არც ერთ ქართულ მხარეს იმდენი არ გაუღია მამ-
ულისათვის, რამდენიც — ისტორიულმა
მესხეთმა. სამხედრო, სოციალურ-პოლი-
ტიკური თუ კულტურულ-საგანმანათ-
ლებლო თვალსაზრისით, თამამად
შეიძლება ითქვას, ამ პროვინციამ შუა
საუკუნეთა საქართველოს სიძლიერეში
ლომის წილი დაიგდო; მაგრამ ყველაზე
მნიშვნელოვანი გახლდათ სწავლა-გა-
ნათლებასა და კულტურაში მიღწეული
წარმატება, რასაც ამ კუთხეში საფუძ-
ველი ჩაუყარა ნომერ პირველმა ქართ-
ველმა გრიგოლ ხანძთელმა. ალბათ ამას
გულისხმობდა გრიგოლ ორბელიანი,
როცა ქართველი ტომების დახასიათ-
ებისას თითო სიტყვით, ოღონდ ერთობ
მახვილად შენიშნავდა: მესხი სწავლი-
თა ქებულიო („სადღეგრძელო“); არც
ისაა შემთხვევითი, რომ ყველაზე დიდ
პრეტენზიას რუსთაველის მშობლობაზე
მესხეთი აცხადებს, ხოლო „ვინმე მესხი
მელექსე“ სწორედ რომ რუსთაველს (თა-
ნამემამულეს ხომ არა?) ეხმარება: „ვენერ
ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველისად
ამისა“. ალბათ არც ის არის შემთხვევი-
თი, რომ შოთაობის მონყოლის პრივი-
ლეგია სხვა პროვინციებმა მესხეთს
უდრტვინველად დაუთმეს და შოთაობის
პოპულარული კონკურსებიც სწორედ ამ
მხარეში იმართება ხოლმე.

ქართული ლაშქრის არაერთი
სახელოვანი და საამაყო გამარჯვებაც
ამ მხარესთან არის დაკავშირებული.
მათი ჩამოთვლაც კი შორს ნაგვიყ-
ვანდა. ერთ-ერთი ასეთი სახელოვანი
ომი გაიმართა სამცხე-საათაბაგოს
დასახლება ასპინძაში 888 წელს და ეგ
სახელოვანი ტოპონიმი ამ წლითვე შე-
მოდის მატრიანში. სამცხის ხევზე მდე-
ბარე ეს სტრატეგიულად მნიშვნელო-
ვანი პუნქტი კიდევ ბევრჯერ გამოდის
ისტორიის ავანსცენაზე. განსაკუთრე-
ბით საინტერესოა, რომ გიორგი სააკა-
ძემაც გაიმარჯვა ამ დაბასთან ახლორე
გამართულ ომში. აქ მომხდარი შეტაკე-
ბებიდან ყველაზე სახელოვანი და ცნო-
ბილი მაინც 1770 წელს პატარა კახის
მიერ აქ გადახდილი ომია. ეს გამირობა
ერს არ ავინყდება. ამიტომაც შეიქმნა
ცნობილი ფოლკლორული შედეგები:

შენ, ერეკლე, ჰოქმიანო,
ცხენ-მალალ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჰყრიანო!
დიდებული დაბის შესახებ დიდძალი
მასალა დაგროვდა. ეს არის ისტორი-
ული ნარკვევები, პროზაული ქმნილე-
ბები, პოეტური შედეგები, ფოლკლო-
რული საუნჯე, საომარ მოქმედებათა
სქემები და გეგმები, ლეგენდა-თქმულე-
ბები. მთელი ეს სიმდიდრე ელოდა ერ-
თად შემკრებს, დამისიტემებელს, ყურ-
ადლებიან რედაქტორ-გამომცემელს,
ვინც რუდუნებით უთავკაცებდა ამ საშ-
ვილიშვილო საქმეს. სწორედ ასეთად
„აღჩნდა“ (გრ. ორბელიანის სიტყვაა!)
ავთანდილ ბერიძე — დიდებული პოეტი,
სახელოვანი გაზეთის „ლიტერატურუ-
ლი მესხეთის“ რედაქტორი, შოთაობის
გაულანძლავი კონკურსების თაოსანი
და ხელმძღვანელი, მესხეთის კულ-
ტურული ცხოვრების ფხიზელი თვალ-
მადევნებელი და უღალატო დარაჯი.
მისმა გარჯამ და ძალისხმევამ შედეგი
გამოიღო და, აი, ხელთა გვაქვს დიდი
ფორმატის, ნახატებითა და სლაიდებით

შემკული 465-გვერდიანი ფოლიანტი,
შესანიშნავი შრიფტით აწყობილი და
არაერთხელ ყურადღებით გადაკითხუ-
ლი უშეცდომო ტექსტი — საშვილიშვი-
ლო და სამაგიდე გამოცემა.

მამასადამე, წიგნში წარმოდგენილია
ბარეორ ქალაქზე უმჯობესი დაბის შეს-
ახებ ყველაფერი, რაც კი სამეცნიერო
და მხატვრულ გონს შეუქმნია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნ-
ივერსიტეტის, „ლიტერატურული მესხ-
ეთის“, ხელოვნების სასახლისა და ერო-
ვნული მუზეუმის გრიფით გამოსული
კრებული დაუფინანსებიათ განათლე-
ბის, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროსა და ასპინძის
მუნიციპალიტეტის მერიას.

დიდი მადლობა მათ ამ პატრიოტუ-
ლი გარჯისათვის!

ავთანდილ ბერიძის რედაქციით გა-
მოსულ ტომეულს ასე ეწოდება: „სიკ-
ვდილის ლხინი ასპინძაში“. ყველა მა-
სალისა და ავტორის ჩამოთვლაც კი
საძნელოა, ოღონდ ზოგი მაინც მოვიხ-
სენიოთ. ესენი არიან მხატვრები და მო-
ქანდაკენი: დ. ტაბატაძე, ვ. გოცირიძე,
გ. გეგეჭკორი, ჯ. ვეფხვაძე, ზ. თოთი-
ბაძე, ფიროსმანი, რ. ადამია... ფოტოები
გადაუღიათ რ. ბერიძეს, ზ. ვადაჭკო-
რიას, ავთ. ბერიძეს, ჯ. სამუშიას... საქა-
რთველოს ეროვნული მუზეუმის კო-
ლექციიდან გამოუყენებიათ ერეკლეს
თოფები, ხმალ-ქარქაში, ბეჭედი და
საქალაქე; ხელოვნების სასახლიდან
გამოუყენებიათ უცნობი მხატვრების
ნამუშევრები: „ფრიდრიხ მეორე“, „ნა-
დირ-შაჰი“, „ერეკლე მეორე“... თელა-
ვის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან
— ერეკლეს მიერ ი. დადიანისათვის
ნაჩუქარი ხმალი; კრებულს ამკობს ერ-
ეკლეს წერილთა ასლები; წარმოდგენი-
ლი კარტოგრაფიული მასალები ეკუთ-
ვნის ო. ცინცაძეს, ასპინძის ბრძოლის
სქემა — ფ. მალაქელიძეს; აქ ნაჩვენებია
ბიზანტიური მონეტები ამოღებულია დ.
ბერიძის კერძო კოლექციიდან; ასპინძის
სახელწოდებაზე მსჯელობენ დ. ბერიძე
და მ. ბერიძე; ერეკლეს ბიოგრაფიაზე
მოგვითხრობენ ომან ხერხეულიძე და გ.
მაისურაძე; აქვეა დაბეჭდილი ი. გოგებ-
აშვილის „ასპინძის ომი“; გ. პაიჭაძე და
ქ. ჩხატარაიშვილი იძიებენ 1768-1774
წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიო-
დებს; ასპინძის ომზე საუბრობენ ალ.
ორბელიანი, ალ. გარსევანიშვილი, ილ.
ალხაზიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ზ. ედილაშ-
ვილი, მ. მამულაშვილი, ი. მაისურაძე, დ.
გვრიტიშვილი, სვ. გამსახურდია, ავთ.
იოსელიანი, დ. მალაქელიძე, რ. გოგო-
ლაური და სხვები; პ. ცხვედელი და რ.
გოგოლაური არჩევენ ერეკლე-ტოტლე-
ბენის ურთიერთობას; ერთობ საინტე-
ერესოა შ. ლომსაძის „სამცხე-ჯავახე-
თი“, ვ. გურულის სამეცნიერო ნარკვევი,
მ. ბერიძის „ასპინძა და ასპინძელობა“.

პოეზიის განყოფილებაში წარმოდ-
გენილია ცნობილი შედეგები: ბესიკის
„ასპინძისადმი“, რ. ერისთავის „ას-
პინძის ომი“, ვაჟა-ფშაველას „ერეკლეს
სიზმარი“, ლ. ასათიანის „ასპინძა“, გალ-
აკტიონისა და ანა კალანდაძის ლექსები.
საგულისხმოა, რომ თემატურად
მრავალფეროვან გულანში სულ მობი-
ლიზებულია 156 ცალკე მასალა.

მამ, ასე:
ქართველთა სულიერ საუნჯეს შეე-
მატა სიაჰაყის კიდევ ერთი ძეგლი.

გურამ გოგიაშვილი,
მურმან თავდიშვილი



თინათინ ჭყვია - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი თინათინ პლატონის ასული ჭყვია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო თინათინ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ მწერალსა და პიროვნებას, ქართველი ბავშვების გულთა მესაიდუმლეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი ხომ 1971 წელს შედგა, როდესაც ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „მებრძოლში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი საბავშვო მოთხრობა „ბათურა“. მას შემდეგ თქვენი მოთხრობები და ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი საყმაწვილო მოთხრობების კრებულები, ისეთები, როგორცაა „ფერია თუთი“, „ცისფერთვალა ბატის გაქცევა“, „საბავშვო მოთხრობები“ ქართველი ბავშვების საყვარელ სამაგიდო წიგნებად იქცა თუნდაც იმიტომ, რომ მათი ავტორი თავანკარა ქართულით ესაუბრება ნორჩებს სიკეთეზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, სათნოებასა და ერთგულებაზე. აცნობს ქართულ ფლორასა და ფაუნას, ზრდის მათ სამშობლოს მოყვარულ პიროვნებებად.

კალამი პოეზიის ურთულეს სფეროშიც სცადეთ და არაერთი საგულისხმო შთამბეჭდავი სტრიქონებით დაგვაამახოვრეთ თავი. ერთი მათგანი კი ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეულშიც კი მოხვდა.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები უცხოურ ენებზეც ითარგმნა.

საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლეთ. წლების განმავლობაში ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრში მსახიობად მოღვაწეობდით. იყავით ინგლისა და ოირემეს საშუალო სკოლის პედაგოგი, ზუგდიდის ლიტერატურული გაერთიანება „რიბირა-ბოს“ წევრი, თბილისის 26-ე და 23-ე საშუალო სკოლების თეატრალური დასის ხელმძღვანელი, საქართველოს რადიოს კორესპონდენტი და პროგრამების რედაქტორი, ბავშვთა აღზრდის ცენტრის მეთოდისტი... მუშაობდით და ყველგან საოცარ ნაფეხურებს ტოვებდით სინათლის და სისუბტაკისა...

თქვენი მრავალწლიანი ერთგულება ქართული სიტყვისადმი რეზო ინანიშვილის, შიო მღვიმელისა და მაცყალა მრეკლიშვილის პრემიებ ით აღინიშნა. დაჯილდოებული ხართ თამარ იონის ენდლამითა და საბავშვო მოთხრობების კონკურსის „ბუკნაჭოს“ პირველი პრემიით.

ჩვენო თინათინ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოკალმეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

დილის პატარა სუიტა


ყოველდღე ჯდება შუქის ბიძზე შემოიჩვეული ყვავი, ხმას არ იღებს და უცნაურად უმზერს ფანჯრის რაფაზე დადგმულ ყვავს. ხომ არ გასინჯავთ, ბატონო ყვავი!? ხომ არ დავლიოთ ერთად? გატრუნულია, არც კი ინძრევა, თითქოს მახსენებს რენე მაგრიტის ნახატს, ზის ასე კენტად, ისე, რამდენჯერ გამკრა ფიქრმა, ვინმე სხვა ხომ არ არის ნეტავ? და ამ ფიქრებში მივდივარ გზაზე, სოფლად მიმოზა ჰყვავის. სკოლის ეზოში სეკვოიებთან დიდი ბუდეა ყვავის... უშნო ბახალას ცუდად დასდევს და გასაწყყლეთად მიინევის ბავშვი. იქვე დედაა, გვერდით ბებია და ხმას არ იღებს არვინ, უჰ, მახსენდება (ჯვანდაბა ჩემ თავს) როგორ ვატყინე ბავშვს თოთო, წვრილი მკლავი, მაგრამ ბახალა ძლიერ ნატანჯი, სადღაც შორს ბუჩქზე დაგვსვი... ხოლო დედამ და ბავშვის ბებიამ მკაცრად ასნიეს წარბი. უცებ ხმაურმა გამომაღვიძა და ქუჩის გაღმა, შუქის ბოძიდან ფრთების ფათქუნით ჩემთან დაეშვა ფანჯრის რაფაზე ის გატრუნული ყვავი.

პასტორალი ფერფლისფარ ლაბადაზა

თქვენ მიდიოდით და ფერფლისფერი გეცვათ ლაბადა... მე ჟოლოსფერი „ბალეტკებით“ შენელებული კადრივით მოგდევიდით უკან... თქვენ „პორტფელიო“ უნაბისფერი ალბათ, ლექსებით გეჭირათ ხელში, გადასასვლელზე გადამასწარით, ლურჯმა „ბეიმეგემ“ ყურისნამლებად დამიმუხრუჭა... თქვენ შემობრუნდით... და დავინახე, შუბლზე ვერცხლშერეული ზამბარებივით გეყარათ თმები და თქვენ შემბრუნდით... გაიფრიალეს ჰაერში ფერფლისფერმა ლაბადის ფრთებმა და მიიღია თვალსაწიერი... უცებ ხმა მესმა, ო, ქალბატონო! როგორ გადავრჩით, ვარ ბედნიერი, ვარ ბედნიერი! თქვენ ვინ ბრძანდებით? მე? - შოფერი.

დასასურებადი იუბილე

24 ივნისს, 16 საათზე, მწერლის სახლში (მანაბლის 13) გაიმართა ია ბაგრატიონ-მუხრანელის საიუბილეო საღამო და ბოლო წლებში გამოცემულ წიგნთა წარდგინება. შეხვედრა გახსნა რევაზ მიშველაძემ. მან ვრცლად ისაუბრა ქალბატონ იას შემოქმედებასა და ღვანლზე ეროვნული მოძრაობის საქმიანობაში. სიტყვით გამოვიდნენ: სოსო სიგუა, თინათინ მღვდლიაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ბონდო მძინარაშვილი... საღამოს უძღვებოდა მანანა გორგიშვილი. დასასრულს ქალბატონმა იამ მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას თანადგომისა და სიყვარულისთვის.



აქ არის გადმოცემული სამთავროს მონასტრისა და ეზოში დაკრძალულ სასულიერო და საერო პირთა ცხოვრება და შემოქმედება.

როგორც ნალკის ეპისკოპოსი, მეუფე გრიგოლი ბრძანებს, საქართველოს ყველა კუთხეში ჰქონდათ ძვალშესალაგი.

სვეტიცხოველი იყო ბაგრატიონთა საძვალე, ხოლო სამთავრო ანუ ზემო ეკლესია მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას შემდეგ - დიდ მამულიშვილთა განსასვენებელი.

წიგნში გაცოცხლებულია აბიბოს ნეკრესელის, ანდრია აფაქიძის, მორის ფოცხიშვილის, ზინაიდა კვერენჩხილაძის, გოდერძი ჩოხელი, ლევან გოთუას და სხვა ღირსეულ მოღვაწეთა სახეები.

წიგნი გამოცემულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

რედაქტორები არიან მონაზონი მარიამი (ბაგრატიონ-მუხრანელი) და მღვდელმონაზონი ილია (თვალთაშვილი).




მკითხველი ასევე ინტერესით გაეცნობა ია ბაგრატიონ-მუხრანელის პუბლისცისტური სტატიების კრებულს „მეშვიდე ცა“. ეს არის ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნი, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული, როგორც საკუთარი ცხოვრების ეპიზოდები, ისე საზოგადოებრივად აქტუალური ფაქტები. მაგალითად, „მზიანი ღამე“ ეძღვნება 9 აპრილის ტრაგედიას. ცალკეა გამოყოფილი ზვიად გამსახურდიასთან თანამშრომლობის ისტორია, პეტერბურგში პრეზიდენტის მიერ ყურნალისტა ჯგუფის წარგზავნის ამბავი. ასევე საგულისხმოა დეკემბერ-იანვრის ტრაგედიის გახსენება.

წიგნს ახლავს საინტერესო ფოტომასალაც. წიგნში შესულია სტატიები კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეზე, ზვიად გამსახურდიაზე, თავის შვილზე - ვახტანგზე, რომელიც შეენირა დეკემბერ-იანვრის მოვლენებს.

ასევე შეტანილია ია ბაგრატიონ-მუხრანელის პიესა „საფეხურები ზეცაში“, მიძღვნილი ნიკო ბურისადმი, ინგლისური თარგმანითურთ.

„მეშვიდე ცა“ დიდი ინტერესით იკითხება და მრავალ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს, რაც კარგად წარმოადგენს ია ბაგრატიონ-მუხრანელს - ცნობილ ჟურნალისტს, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ჟამს „სკობოდნაია გრუზიას“ რედაქტორის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

მკითხველს უეჭველად დაინტერესებს სტატიების კრებული „წმინდა სავანე-სამთავროს სამაროვანი“, რომელსაც უხვად ერთვის ილუსტრაციები. ისინი მოხმობილია საოჯახო და საზოგადო კოლექციებიდან, წმინდა ნინოს დედათა მონასტრის არქივიდან.



ია ბაგრატიონ-მუხრანელის რედაქტორობით არის გამოცემული ნიკო ბაგრატიონის (მუხრანელი) „ბურისი“. ეს წიგნი ადრეც არაერთხელ დაბეჭდილა, რომელთაგან წიგნში გადმოტანილია გიორგი ნატროშვილის და რაჟდენ გვეტაძის სტატიები. ასევე უძღვის ია ბაგრატიონ-მუხრანელის ვრცელი და საინტერესო ნარკვევი ნიკო ბურის ოჯახზე. თანაავტორია თეიმურაზ (ნიკა) ჩიკვაიძე-ბაგრატიონი.

ნიკო ბურის წიგნს კარგად იცნობს საზოგადოება, მის ბრძოლებს, მძიმე და ტრაგიკულ ცხოვრებას საბჭოთა საქართველოში.

საინტერესოა კომენტარები, ფოტო მასალა.

წიგნს ერთვის ია ბაგრატიონ-მუხრანელის პიესა „საფეხურები ზეცაში“, რომელიც ეძღვნება ნიკო ბურის ცხოვრებას. პიესის ინგლისური თარგმანიც აქვეა დაბეჭდილი. თარგმანი ეკუთვნის ვალერი ჭკადუას, დიზაინი - გიორგი წერეთელს.

იმედი ჯახუა

არო ჩამო...

-შენს ბედს ნათლის შუქი მოსავს...
ბატონ რევაზ მიშველაძეს

როცა ჯავრით გულს ამოცრავს
სატკივარი გაუძღლის,
-ცით ხმა უხილავის გმოდვრავს,
ახლობელის, მისხის მისხით:

-გაჩნდი რაინდად და მგოსნად,
ვეფხთან მორკინალთა სისხლის!..
-შენს მტერს შენი შურიც მოსრავს,
შენს ხელს სისხლში ნუ გაისვრი!..

რაც ეშმა და ტარტაროზმა
გწამლა სიცრუით და ლიზლით,
-ვერც სანყაო რამ ამონყავს,
ვერც მურდალთა სისხლით იზღვის!..

შხამი ვერ იქმს სულის მონყლვას
მომწამლავი ხორცის, სისხლის...
-მგესლავს თვისი გესლიც მოსრავს,
შენ სინმინდე შენი გიხსნის!..

კვალს გულიდან ვინ ამონვავეს
სისხლისმსმელთა ხროვის ზიზღის...
-მაინც: ღვთისშვილს კვლავაც ლოცვა
გმართებს დაოკებად რისხვის!..

გმართებს დათმენა და მოცდა
და მოქცევა სმენად ღვთის ხმის...
-ნუ აპყევები ქარაოცთა,
გულს ვიეთთან ნუ გაიხსნი...

წარწყმედილთა და ავხორცთა
ირგვლივ კვლავ ფუთფუთი ისმის...
-გესმის?... - ეშმა ახორცოცდა!..
უსმენ?! - უხსენებლის სისინს!..

მზაკვრული აქვს წყეულს ყნოსვა,
სუნტქვა - შხამიანი ნისლის
-თბილი სისხლის რომ სურს მოსმა,
ღრჯოლით ძარღვებს გადაგისხნის...

შენ არ აპყვე ყოვლად მომსპარს,
შენ არ გაპყვე კვალს უღირსის
-ახლოს არის გარდამოხსნა,
წინ გზა - უნათლესთან მისვლის!..

კვლავ ცად ადავლინე ლოცვად
ხმა უფალთან დაღადისის
-კვლავ უმღერე მზის ამოსვლას
ლილე - ჰიმნი მარადისი!..

კვლავ განგებას ენდე - მომსრავს
ღმერთგამწყრალთა გასაგისის
- შენს ბედს ნათლის შუქი მოსავს:
ცით ვინც გადმოგვცქერის - მისი!

„მეგობრობა გზად და სიდად“

სულ ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირმა უმასპინძლა ისრაელიდან ჩამოსულ სტუმრებს - პაატა იოსებაშვილს და იზოლდა მოშიაშვილს. დაფუძნდა ორგანი-



ზაცია „მეგობრობის მერიდიანი“. „მეგობრობის მერიდიანის“ საქართველოში არსებული ფილიალი ითვალისწინებს ქართველ და ებრაელ ხალხთა 26-საუკუნეანი მეგობრობის შენარჩუნებისა და გაგრძელების, ასევე ამ მეგობრობის განვითარებისა და ისტორიული მნიშვნელობის არსის მსოფლიოს საზოგადოებამდე მიტანას. მიუხედავად იმისა, რომ 26 საუკუნის მეგობრობის სიმტკიცეში ეჭვი არავის ეპარება, ვფიქრობთ ამ მეტად მნიშვნელოვანი თემის გარშემო მსოფლიო საუბრები კიდევ უფრო ნათელს მოჰფენს ამ მეგობრობის მნიშვნელობას. გავიხსენებთ რა დოკუმენტურ ფაქტებს, საზოგადოების ერთ ნაწილს საშუალებას მივცემთ კვლავ გადაავლოს თვალი მისთვის კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტებს, ხოლო მომავალ თაობას საშუალება ექნება გაეცნოს ამ მნიშვნელოვან რეალობას, ჩვენ „მეგობრობის მერიდიანის“ წევრებმა იმდენად საინტერესოდ უნდა მივანოდოთ ისტორიული ფაქტები (შესაძლოა ეს მოხდეს თეატრალური დადგმების სახით ან ფილმის სახით,) რომ მომავალ თაობას სურვილი გაუჩნდეს 26 საუკუნის მეგობრობის ისტორიის თავად წაკითხვისა, „მეგობრობის მერიდიანის“ საქართველოში არსებული ფილიალი საზოგადოებას წარუდგენს უურნალს სახელწოდებით „მეგობრობის მერიდიანი“, სადაც მკითხველი გაეცნობა არა მხოლოდ ქართველი ებრაელების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, არამედ უცხოეთში მოღვაწე იმ ქართველების ცხოვრებას, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმიანობას რომ ეწევიან. „მეგობრობის მერიდიანის“ საქართველოს ფილიალს აქვს კონკრეტული პროექტები და სცენარები, რომლების განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს 26 საუკუნის წინ დაწყებულ მეგობრობას. გამომდინარე იქიდან, რომ „მეგობრობის მერიდიანის“ წევრები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების საკითხებს, ჩამოყალიბდება ახალგაზრდული ფრთა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს დაეხმარება საინტერესო და სასარგებლო იდეების განხორციელებაში ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა და მეცნიერების საკითხებში. ყველა დასახელებული პროექტისათვის არსებობს კონკრეტული გეგმა.

სასურველია გაკეთდეს სივრცე, სადაც ხელოვნებისა და კულტურის, და საერთოდ, საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბებიან, გაიმართება საუბრები საინტერესო თემებზე, მოისმენენ შემოქმედთა შემოქმედების სიახლეებს. „მეგობრობის მერიდიანი“ მოაწყობს

იზოლდა მოშიაშვილი

ამოქანხილი
ერთი გული გამაჩნია,
ერთადერთი კენტიად
თუმც გავყავი ორ ნაწილად,
მაინც დარჩა ერთად.

როს ვუმღერი ჩემს სამშობლოს,
ან ვახვეწებ ღმერთთან,
წინ მიდგება საქართველო,
აღმართული კერპად.

ისრაელი სამშობლოა,
საქართველო გამზრდელი,
ორი დიდი სიყვარული,
ორი წმინდა სანთელი.

მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ადგილებში კონფერენციებს საზოგადოებისთვის საინტერესო თემებზე, ჩაატარებს სხვადასხვა სახის კონკურსებს სახელწოდებით „იმარჯვებს მეგობრობა“...
აქვე გთავაზობთ „მეგობრობის მერიდიანის“ წარმომადგენლის იზოლდა მოშიაშვილის ლექსს:

Grid of 12 boxes, each containing a name and a short text about the 'Mergobroba' project.